ახალი განათლება

20-26.02.2020

№5 (879) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

ახალგორელ მოსწავლეებს და სკოლის პერსონალს ქართულ ენაზე საუბარი ეკრძალებათ

„დემოკრატიის ჯვლევის ინსტიტუტის" ინფორმაციით ცხინვალიდან ახალგორში ჩასულმა ე.წ. საგანმანათლებლო კომისიამ გაფრთხილებები მისცა თითქმის ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებას – ქართულ ენაზე საუბარი აუკრძალეს მასწავლებლებს და მომსახურე პერსონალს არა მხოლოდ ბავშვებთან, არამედ ერთმანეთთანაც.

2 ლალი ჯელაძე

პრაქტიკოსი მასწავლებლის კარიერული წინსვლის დეტალები

გამოცდის ნაწილში პრაქტიკოსებისთვის სამომავლოდ არაფერი შეიცვლება, ერთადერთი ცვლილება შეეხება შიდა შეფასების მექანიზმებს. ჩვეულებრივ, შიდა შეფასების მექანიზმი წყვეტს ფუნქციონირებას. პრაქტიკოსს დარჩენილი ჯერადობების შევსება მხოლოდ გარე მექანიზმებით მოუნევს – გამოცდის ჩაბარებით და ტრენინგის წარმატებით გავლით, რომელიც თებერვლის ბოლომდე გამოცხადდება.

4 ლალი ჯელაძე

რას შეაფასებს სასკოლო შეფასების ელექტრონული სისტემა

ამ შეფასებაში არ იქნება ქულები, მოხდება იმის დიაგნოსტირება, რა იცის ან რა არ იცის მოსწავლემ. თავისთავად, ეს შეფასება არც სკოლის შემაჯამებელ ქულებზე აისახება. ამ შეფასებით, სკოლას ეძლევა ინსტრუმენტი, უნიფიცირებული ტესტით შეაფასოს რა არის მოსწავლის ძლიერი ან სუსტი მხარე და შემდეგ, ამ შეფასებაზე დაყრდნობით, იმუშაოს.

3 ლალი თვალაბეიშვილი

წლის საუკეთესო დირექტორი – თეონა ყაჭეიშვილი

ჩვენს სკოლაში ძალიან ჯეთილგანწყობილი გარემოა, დაჯილდოების შემდეგ რომ მოვედი, ჯერევ უფრო გახალისებულები დამხვდნენ ბავშვებიც და მთელი გუნდიც. თუმცა ადამიანებს ძალიან გვჭირდება ასეთი აღიარება.

6 თამარ კობერიძე

სოხუმის ალება მეოცე საუკუნის დასაწყისში (ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბას" მიხედვით) და სოხუმის დაცემა მეოცე საუკუნის ბოლოს

სიმბოლურია, მეოცე საუკუნეში სოხუმი ორჯერ დავკარგეთ, პირველად საუკუნის დასაწყისში, უბრძოლველად და შეიძლება ითქვას უსისხლოდ, მაგრამ საუკუნის ბოლოს რაც მოხდა, საქართველოს მრავალმაგადახდილ ისტორიას, შეიძლება ითქვას, რომ არ ახსოვს.

ПРОФЕСИУЛИ ГАНВИТАРЕБА

პრაქტიკოსი მასწავლებლის კარიერული წინსვლის დეტალები

ლალი ჯელაძე

დღევანდელი მონაცემებით, სისტემაში ჯერ კიდევ 13 ათასი პრაქტიკოსი მასწავლებელია, რომელიც პროფესიაში დარჩენას მხოლოდ სტატუსის ამაღლებით შეძლებს. სამინისტრომ მათ ამისთვის კიდევ ერთი შანსი ზაფხულში დაგეგმილი გამოცდებით მისცა. შეძლებენ თუ არა, გამოცდის გარდა, სხვა აქტივობებით კრედიტების დაგროვებას ან რა იგეგმება მათი კარიერული წინსვლის გზაზე – ამ დეტალებზე გვესაუბრება მასწავლებლის პროფესიის რეგულირების პროგრამის ხელმძღვანელი ხათუნა ბარაბაძე.

– როგორც ცნობილია, პრაქტიკოს მასწავლებლებს ზაფხულში კიდევ ერთხელ მიეცემათ კომპეტენციის დადასტურების საშუალება, შეძლებენ თუ არა ისინი ამ პერიოდში, გამოცდის გარდა, სხვა აქტივობებით კრედიტების დაგროვებას? იგეგმება თუ არა რაიმე ცვლილება მათ საფეხურებრივ წინსვლაში?

– გამოცდის ნაწილში პრაქტიკოსებისთვის სამომავლოდ არაფერი შეიცვლება, ერთადერთი ცვლილება შეეხება შიდა შეფასების მექანიზმებს. რეალურად, შიდა შეფასების მექანიზმი წყვეტს ფუნქციონირებას, შესაბამისად, აღარ იარსებებს ე.წ. შეფასების ჯგუფი, რომელიც კრედიტებს ანიჭებდა მასწავლებლებს.

სქემაში სამომავლო ცვლილებაც სწორედ ამას შეეხება, რათა გაუთავებელი სოციალური პროექტები და მსგავსი აქტივობები (თავისთავად, ასეთი აქტივობების განხორციელება ცუდი არ არის) მარათონად არ იქცეს. ამიტომ, მასწავლებლები ასეთ აქტივობებში კრედიტებს ვეღარ მიიღებენ.

რაც შეეხება კრედიტების დაგროვების სისტემას, ჯერჯერობით, ისევ ძალაში დარჩება, რადგან პრაქტიკოსმა მასწავლებელმა 19 კრედიტი უნდა დააგროვოს, რომ უფროსი მასწავლებელი გახდეს. ამიტომ, ახლა მას დარჩენილი კრედიტების შევსება მხოლოდ გარე მექანიზმებით მოუწევს – გამოცდის ჩაბარებით და ტრენინგის წარმატებით გავლით, რომელიც თებერვლის ბოლომდე გამოცხადდება.

სისტემაში სულ 13 ათასამდე პრაქტიკოსი მასწავლებელია, მათ ექნებათ საშუალება, 5 კრედიტის ფარგლებში, გაიარონ ტერნინგ-კურსი, პროფესიულად განვითარდნენ და ამ გზით აიმაღლონ კვალიფიკაცია. თუმცა, ტრენინგის გავლა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საერთოდ არაფერი მოეთხოვებათ.

შიდა მექანიზმებით, ჩვენი მხრიდან, ხარისხის მონიტორინგი ვერ ხერხდებოდა, ეს რეალურად რთულია. ამას სრულფასოვნად ვერც ტრენინგებით შევძლებთ, მაგრამ ტრენინგებით მათ პროფესიულად განვავითარებთ, გარკვეულ ცოდნას შევძენთ. ბუნებრივია, მათ კრედიტებს მხოლოდ ტრენინგზე დასწრებით არ მივცემთ, უნდა იმეცადინონ, ისწავლონ და, წარმატებით გავლის შემთხვევაში, კრედიტსაც მიიღებენ. გარდა ამისა, გარკვეულწილად, მათ ეს ყველაფერი გამოცდების ჩაბარებაშიც დაეხმარებათ. ამით, კიდევ ერთხელ მიეცემათ პროფესიაში თავის დამკვიდრების შანსი.

– ტრენინგები ნებისმიერი პრაქტიკოსი მასწავლებლისთვისაა გათვალისწინებული თუ მხოლოდ მათთვის, ვისაც რამდენიმე კრედიტი აქვს შესავსები?

– ნებისმიერ პრაქტიკოსს შეუძლია გაიაროს ტრენინგი, მათ შორის იმ პედაგოგებსაც, ვისაც ჯერ არც ერთი გამოცდა არ აქვთ ჩაბარებული. მაგალითად, თუ გამოცდაში 7-7 კრედიტს მიიღებენ, ანუ კომპეტენციის 50%-იან დადასტურებას შეძლებენ, თავისუფლად შეუძლიათ 5-კრედიტიანი ტრენინგის გავლა და სტატუსის ასამაღლებლად საჭირო 19 კრედიტის შევსება.

– შესაძლებელია თუ არა, ამ პერიოდში, სრულად მოიცვათ 13 ათასივე პრაქტიკოსი პედაგოგი, თუკი ყველა გამოთქვამს ტრენინგის გავლის სურვილს?

– რა თქმა უნდა, ეს არ არის ის რაოდენობა, რომ ვერ შევძლოთ მათთვის ხუთკრედიტიანი ტრენინგის ჩატარება.

– ტრენინგები მხოლოდ საგნობრივი მიმართულებებისთვის იქნება თუ პროფესიულისთვისაც და როგორ განისაზღვრება კრედიტების რაოდენობის მინიჭება?

– ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით იქნება: საგნობრივი მიმართულებით – 5 კრედიტის ფარგლებში, პროფესიული უნარების მიმართულებით – 2-3 კრედიტის ფარგლებში. ამიტომ, ზოგს შეეძლება საგნობრივი აირჩიოს, ზოგს – პროფესიული ან ორივე ერთად, გადაწყვეტილებას კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე მიიღებენ. ბუნებრივია, 13 ათასივე პედაგოგს არ სჭირდება ხუთივე კრედიტი, მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც მხოლოდ 1 ან 2 კრედიტი აკლდება, შესაბამისად, მხოლოდ 1 ან 2-კრედიტიან ტრენინგს აირჩევენ.

რაც შეეხება შეფარდებას – 25 საათი უდრის ერთ კრედიტს, აქ შედის როგორც საკონტაქტო, ისე არასაკონტაქტო საათების რაოდენობა. ერთი კრედიტის ფარგლებში, ორდღიანი (6-6-საათიანი) ტრენინგი იქნება საკონტაქტო, ხოლო 13 საათი – არასაკონტაქტო.

კრედიტების დაგროვება მათ სექტემბრამდე, უფრო სწორად, აგვისტოს შუა რიცხვებამდე უნდა დაასრულონ, რათა ჩვენ მოვასწროთ შემოწმება და, სასწავლო წლის დაწყებამდე, ერთი თვით ადრე, სკოლისთვის ცნობილი გახდეს, გამოაცხადოს თუ არა ვაკანსია, შესაბამისად, მოასწროს ახალი სასწავლო წლისთვის მომზადება.

– სად შეუძლიათ მასწავლებლებს ტრენინგის გავლა?

– მასწავლებელთა სახლის მიერ შეთავაზებული ტრენინგები ჩატარდება როგორც ადგილებზე, ისე რაიონებში. რეგისტრაციის დროს, მათ უნდა მიუთითონ რომელ რაიონში სურთ ტრენინგის გავლა. რა თქმა უნდა, თუკი ჯგუფები შეივსება და მსურველები იქნებიან, ადგილზე ჩავა ტრენერი. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი ჯგუფი არ დაკომპლექტდება, მათ ალტერნატიულად შევთავაზებთ ტრენინგის რაიონულ ცენტრში გავლას.

– 2020 წელს ძალაში რჩება თუ არა პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის, სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე, დროებითი ხელშეკრულების გაფორმება?

– პრაქტიკოს მასწავლებელს, 2020-2021 სასწავლო წლის დასაწყისამდე, სრული უფლება აქვს, ისარგებლოს შვებულებით, ჩააბაროს გამოცდა, გაიაროს ტრენინგი და შეიცვალოს სტატუსი, მაგრამ თუ ის, ამდენი ძალისხმევის მუხედავად, ვერ შეძლებს სტატუსის მოპოვებას, მაშინ უნდა მიხვდეს,

რომ გზა დაუთმოს ისეთ ადამიანს, ვისაც მეტი კომპეტენცია და სტატუსი აქვს. სკოლა ვალდებულია, ახალი სასწავლო წლიდან, უსტატუსო მასწავლებლის ადგილზე ვაკანსია გამოაცხადოს, თუმცა, თუ მსურველი არ გამოჩნდება (ბუნებრივია, საუბარია კვალიფიციურ კადრზე და არა უსტატუსო მასწავლებელზე), რაღა თქმა უნდა, დროებითი ხელშეკრულება შეუძლია გაუფორმოს მას, თუმცა, ვაკანსია ძალაში რჩება.

– რამდენი მასწავლებელია, იმ 13 ათასი პრაქტიკოსი მასწავლებლიდან, ვისაც არც ერთი გამოცდა არ აქვს ჩაბარებული?

– 6 ათას მასწავლებელს არც ერთი გამოცდა არ აქვს ჩაბარებული, 1000-მდე პედაგოგს ორივე გამოცდა აქვს ჩაბარებული, ხოლო თითო-თითო გამოცდა – 6 ათას პედაგოგს. მოგეხსენებათ, რომ სატატუსის ასამაღლებლად კომპეტენციის დადასტურება აუცილებელი პირობაა.

– რამდენი მასწავლებელია სქემაში უფროსის სტატუსით ჩართული და როგორ შეძლებენ ისინი სტატუსის ამაღლებას?

– დღევანდელი მონაცემით, სქემაში ჩართულია 35 ათასამდე უფროსი მასწავლებელი, თუმცა, მათგან ყველა წამყვანის სტატუსის მომლოდინე ვერ იქნება, წამყვანის სტატუსს ის 4500 პედაგოგი ელოდება, ვინც ამ სასწავლო წელს გარე დაკვირვებაზეა დარეგისტრირებული. დაახლოებით, სამი ათასამდე, ალბათ, სექტემბრიდან დარეგისტრირდება. ჩვენ შეღავათი გავუწიეთ იმ უფროს მასწავლებლებს, რომლებმაც, სექტემბრის მდგომარეობით, 13 კრედიტქულა დააგროვეს (განხორციელებული ჰქონდათ ერთ-ერთი სავალდებულო აქტივობა). ცენტრის დირექტორის ბრძანების თანახმად, ასეთ მასწავლებლებს საშუალება მიეცათ, 1 დეკემბრამდე, აეტვირთათ მეორე სავალდებულო აქტივობა – სამოდელო გაკვეთილი ან კვლევა და ამით შეევსოოთ გარე დაკვირვების რეგისტრაციისთვის საჭირო 15 კრედიტი. ყველა ის პედაგოგი, რომელიც ამ მოთხოვნას დააკმაყოფილებს (კვლევები გადამოწმდება), სექტემბერში, გარე დაკვირვების რეგისტრაციაში ჩაერთვება.

ვინც ახლა აიმაღლა სტატუსი, ბუნებრივია, უნდა დაელოდოს მასწავლებლის რეგულირების წესის ამოქმედებას ისევე, როგორც მენტორობის მსურველი წამყვანი მასწავლებლები ელოდებიან.

– როდის დამტკიცდება მასწავლებლის რეგულირების ახალი წესი?

– ჩვენგან უკვე ინიცირებულია ორი დოკუმენტი: ერთი – კარიერული წინსვლისა და პროფესიული განვითარების სქემა; მეორე – პროფესიაში შესვლის წესი (174-ე ბრძანება). რა პერიოდში მოხდება ინიცირებული ცვლილებების განხილვა და დამტკიცება, ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ მაქვს.

ინფორმაცია

ახალგორელ მოსწავლეებს და სკოლის პერსონალს ქართულ ენაზე საუბარი ეკრძალებათ

14 თებერვალს „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა“ გამოაქვეყნა ინფორმაცია ახალგორის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის მძიმე მდგომარეობის შესახებ, კერძოდ, ნათქვამია, რომ „გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვასთან ერთად, ოკუპირებულ რეგიონში მწვავედ დგას მშობლიურ ენაზე სწავლის უფლების შეზღუდვის საკითხი.“

ინფორმაციას უცვლელად გთავაზობთ:

„დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის“ ხელთ არსებული ინფორმაციით, ოკუპირებული ახალგორის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველ მოსახლეობას მშობლიურ ენაზე სწავლის უფლება ეზღუდება.

საოკუპაციო ძალების პოლიტიკა სულ უფრო ამძიმებს ეთნიკურად ქართული მოსახლეობის ყოფას. გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვასთან ერთად, ოკუპირებულ რეგიონში მწვავედ დგას მშობლიურ ენაზე სწავლის უფლების შეზღუდვის საკითხი.

უკანასკნელ პერიოდში, ახალგორში ორი ქართული სკოლის დირექტორი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. გათავისუფლებულთა შორის არიან: ახალგორის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი ნინო ამირანაშვილი და სოფელ იკოთის საშუალო სკოლის დირექტორი მზია ფსუტური.

„დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის“ ინფორმაციით, ახალგორის პირველი საშუალო სკოლის დირექტორმა გათავისუფლებამდე შენიშვნა მიიღო დაწყებით კლასებში ქართულ ენაზე მოსაუბრე მოსწავლეების და მასწავლებლების გამო. დირექტორი გააფრთხილეს, რომ ბავშვებმა შესვენებაზეც კი არ უნდა ისაუბრონ ქართულად იმ ბავშვებთან, რომელთა კლასებიც ჯერ ისევ ქართულ ენაზე სწავლობენ. კითხვის ნიშნებს ბადებს ამავე პერიოდში მეორე ქართული სკოლის დირექტორის – მზია ფსუტურის გათავისუფლებაც. თუმცა, საოკუპაციო ძალები აღნიშნულ გათავისუფლებებს, ნინო ამირანაშვილთან დაკავშირებით, წეროვნიდან გადმოსული მოსწავლეების საჭირო დოკუმენტაციის გარეშე გაფორმებას, ხოლო მზია ფსუტურის შემთხვევაში, „პედაგოგიური განათლების უქონლობას“ უკავშირებენ.

ახალგორის საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქართული ენის აკრძალვა, ბოლო წლებში, საგანგაშო სახეს იძენს. „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის“ ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ, ცხინვალიდან ახალგორში ჩასულმა ე.წ. საგანმანათლებლო კომისიამ მსგავსი გაფრთხილებები მისცა თითქმის ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებას. ქართულ ენაზე საუბარი აუკრძალეს მასწავლებლებს და მომსახურე პერსონალს არა მხოლოდ ბავშვებთან, არამედ ერთმანეთთანაც.

ამ პროცესების პარალელურად, დასასრული არ უჩანს ახალგორის იზოლაციისკენ მიმართულ პროცესს. მოსაბრუნის ე.წ. გადასასვლელის ჩაკეტვის შემდეგ, ახალგორის სკოლების რამდენიმე მასწავლებელი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე დარჩა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადასვლა ვერ მოახერხა, რამაც კიდევ უფრო გაართულა ქართველი მოსწავლეებისთვის სასწავლო პროცესი.

განათლების უფლება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით გარანტირებული უფლებაა. ის განმტკიცებულია როგორც გაეროს, ასევე ევროსაბჭოს შესასრულებლად სავალდებულო ხელშეკრულებებით. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ აკონკრეტებს, რომელ ენაზე უნდა მიმდინარეობდეს სწავლება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, განათლების უფლებას აზრი დაეკარგებოდა, მისით მოსარგებლეებს მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება რომ არ ჰქონდეთ. „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი“ მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების დარღვევის შესახებ საკითხი ყველა საერთაშორისო შეხვედრაზე უნდა დააყენოს და უზრუნველყოს აღნიშნული საკითხის განხილვა როგორც ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფორმატში, ისე ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში. ამასთანავე, გამოიყენოს სამართლებრივი მექანიზმები, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობა.

* * *

საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის სპეციალურ ანგარიშში, რომელიც გალის რაიონში განათლების უფლებას შეეხებოდა, აღნიშნულია, რომ „ანგარიში არ ეხება ახალგორის რაიონში განათლების უფლებას, გამომდინარე იქიდან, რომ 2008 წლის შემდეგ აქ სასწავლო პროცესში განსაკუთრებული ცვლილებები არ მომხდარა“. თუმცა, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა 2017 წლიდან, როდესაც ქართული სკოლების „რუსიფიკაციის“ პროცესი დაიწყო. ახალგორში, დღეს მოქმედი ათი სკოლიდან, ექვსი ქართულია, რომლებიც 2017 წლიდან, ეტაპობრივად, გადადის რუსულ სწავლებაზე. ამ სკოლებში, პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით, სწავლება სრულად რუსულ ენაზე მიმდინარეობს, ქართული ენა ისწავლება, როგორც ცალკე საგანი.

წლის საუკეთესო დირექტორი

თურმე ადამიანებს ძალიან გვჭირდება ასეთი აღიარება

ლალი თვალაბეიშვილი

პირველად საქართველოში „წლის საუკეთესო დირექტორის“ დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივითა და ორგანიზებით, ჩატარებული კონკურსის გამარჯვებული და „2019 წლის საუკეთესო დირექტორის“ ტიტულის მფლობელი გახდა თბილისის 198-ე საჯარო სკოლის დირექტორი **თეონა ყაჭეიშვილი**, რომელსაც სპეციალური პრიზი და ფულადი ჯილდო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა **მიხეილ ჩხენკელმა** გადასცა. გამარჯვებული სასწავლო ვიზიტით ციურიხშიც გაემგზავრება და ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრს (CERN) ესტუმრება.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა აღნიშნული კონკურსი წელს პირველად ჩაატარა. ცენტრის დირექტორმა, **ბერიკა შუკაკიძემ** მეორე-მესამე ადგილების მფლობელები გამოავლინა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის საჯარო სკოლის დირექტორს, **გოგი თოდუასა** და ქალაქ ქუთაისის 30-ე საჯარო სკოლის დირექტორს, **მიხეილ გიორგაძეს** ფულადი პრიზები გადასცა.

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით, კონკურსის გამარჯვებული დირექტორების სკოლები ფიზიკის ვირტუალური ლაბორატორიით აღიჭურვება. მოსწავლეებს ცდების ჩატარება სპეციალური კომპიუტერული მულტიმედიური პროგრამის საშუალებით შეეძლებათ, რაც მათ თეორიული ცოდნის პრაქტიკული დავალებებით გამყარების შესაძლებლობას მისცემს და ამ საგნის სწავლებას უფრო საინტერესოს გახდის.

„წლის საუკეთესო დირექტორი“ შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით დასახელდა: სკოლის განვითარებასა და სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფა, ინოვაციურობა, რესურსების ეფექტიანი მართვა.

„ხარისხიანი განათლება ჩვენი გუნდის უმთავრესი პრიორიტეტია, რაც გამოიხატება იმ ისტორიულ გადაწყვეტილებაში, რომლის თანახმად, მთლიანი შიდა პროდუქტის 6%, რაც ქვეყნის ბიუჯეტის მეოთხედს შეადგენს, განათლების სფეროს განვითარებისთვის დაიხარჯება. მიმდინარე კომპლექსური რეფორმა, რომელიც განათლების ყველა საფეხურს მოიცავს, ხარისხის ზრდას ემსახურება. იცით, რომ ზოგადი განათლების მიმართულებით პროექტი „ახალი სკოლის მოდელი“ ხორციელდება, რომლის კონცეფცია თანამედროვე და ინოვაციური მეთოდოლოგიით მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას გულისხმობს. ძალიან კარგად ვიცი, რომ თქვენი ყოველდღიური სამუშაო რთული და საპასუხისმგებლოა. მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ იმისათვის, რომ ემსახურებით ყველაზე მნიშვნელოვან საქმეს და ზრუნავთ ჩვენი ქვეყნის მომავალზე. – ასე მიმართა მიხეილ ჩხენკელმა დამსწრე საზოგადოებას და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ახალი პროექტის მნიშვნელობაზე და, ზოგადად, განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებში დირექტორის როლზე ისაუბრა – *სამინისტროს პოლიტიკაა, რომ ზოგადი განათლების სისტემა გახდეს დეცენტრალიზებული, სკოლებს ჰქონდეთ მეტი ავტონომია. ამ პროცესში თქვენი, როგორც სკოლის დირექტორების როლი, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. დღეს ძალიან საინტერესო ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი, რომლის ინიციატორი მასწავლებლთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრია. მიმაჩნია, რომ თითოეული თქვენგანი დღეს გამარჯვებულია“.*

წლის საუკეთესო დირექტორი საჯარო და კერძო სკოლების დირექტორებით, პროფკავშირის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და პარლამენტის დარგობრივი კომიტეტის წარმომადგენლებით დაკომპლექტებულმა ჟიურიმ გამოავლინა.

ჩვენ დავუკავშირდით „წლის საუკეთესო დირექტორის“ ტიტულის პირველ მფლობელს, თეონა ყაჭეიშვილს და დავინტერესდით, როგორი იყო კონკურსის მიმდინარეობის პროცესი, რა მოტივაცია ამოძრავებდა მას, როცა კონკურსში ჩაერთო, ელოდა თუ არა მსგავს შედეგს და როგორია მისი შთაბეჭდილება და განწყობა ასეთი საპატიო ტიტულის მოპოვების შემდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ 198-ე საჯარო სკოლა, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, სრულად ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა მოთხოვნებს. სკოლის მთავარი პრიორიტეტია მათთვის აუცილებელი, საზოგადოებაში ადაპტაციისა და ინტეგრაციისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება. ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია დირექტორის როლი, როგორც სკოლის ხელმძღვანელს, მას უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია დასახული მიზნების მიღწევის საქმეში.

თეონა ყაჭეიშვილი
წლის საუკეთესო დირექტორი, №198 საჯარო სკოლის დირექტორი

კონკურსის მიმდინარეობა

კონკურსი რომ გამოცხადდა, მე ვაკე-საბურთალოს რესურსცენტრმა წარმადგინა. ძალიან საინტერესო ფორმა იყო შესავსები, ლაპარაკი იყო გამოცდილებაზე, ჩვენ მიერ განხორციელებულ ინიციატივებზე, რა სიახლე გვქონდა დანერგილი სკოლაში, აგრეთვე, საპილოტე პროექტები, როგორ ვხედავდი დირექტორის, როგორც ლიდერის როლს და მისიას, სტრატეგიულ გეგმებსა და მიზნებს. ძალიან საინტერესო კითხვარი იყო.

შემდეგ ეტაპზე, ჩვენ თვითონ უნდა ჩაგვეწერა მოკლე ვიდეო, რომელიც ერთგვარი შემაჯამებელი ანალიზი იქნებოდა ჩვენი საქმიანობის – რა არის თქვენთვის საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში დირექტორის როლი და ფუნქციები, რა მოგწონს ან არ მოგწონს, რაში გჭირდება დახმარება და ა.შ. კონკურსი მრავალეტაპიანი იყო, ფაქტობრივად, ზაფხულიდან მიმდინარეობდა. გასაუბრებაზე რომ დამიბარეს, მეგონა, ძალიან მარტივი იქნებოდა, 3-4 კაცი დამისვამდა ზოგად კითხვებს. რომ მივედი, საკმაოდ დიდი კომისია დამხვდა, რომელშიც ჩართული იყვნენ: ჩემი კოლეგები, კერძო სკოლების დირექტორები, ექსპერტები აკადემიური სფეროდან და მასწავლებლის სახლიდან, პარლამენტის წევრები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საერთო ჯამში, 20-ზე მეტი ადამიანი იყო. ძალიან საინტერესო შეკითხვები დამისვეს. ჯერ მომაყოლეს ჩემ შესახებ, ჩემს გამოცდილებაზე, აინტერესებდათ რას ვფიქრობდი, ზოგადად, დირექტორის როლზე, ასევე დირექტორის თვითგანვითარებაზე, ვმუშაობდი თუ არა მუდმივ განვითარებაზე, მქონდა თუ არა, სკოლის შემდგომ, მოსწავლეებთან კავშირი და სხვ. ეტყობა მოეწონათ ჩემი პასუხები. მე თვითონ ბუნებით მაქსიმალისტი ვარ და არასოდეს ვარ კმაყოფილი ჩემი თავით. ეს კომისია არ იყო ოფიციალური, დაჭიმული, პირიქით – ძალიან უშუალო, მიმღები და ღია, კომისიის წევრებთან ურთიერთობა სასიამოვნო და ძალდაუტანებელი იყო.

შემდეგ მითხრეს, რომ ექვსეულში გავედი და კომისია სკოლაში მოვიდა. შეაფასეს სასკოლო გარემო, სკოლაშივე ჩამიტარეს ინტერვიუ, შეხვდნენ და გაესაუბრნენ ფოკუს-ჯგუფებს – სკოლის მასწავლებლებს, სპეციალისტებს, მშობლებს. ბოლოს წინა ეტაპზეც სკოლაში მოვიდნენ და პატარა ფილმი გააკეთეს სკოლაზე, ისევ ინტერვიუ ჩამომართვეს და ამის შემდეგ, 14 თებერვალს, უკვე საფინალო დაჯილდოება გაიმართა.

დარღვეული სტერეოტიპი

პირველ ადგილზე არც მიფიქრია. დარწმუნებული ვიყავი, რომ უნდა გაემარჯვებინა მამაკაცს, რეგიონის სკოლის დირექტორს, მაგრამ მე გავიმარჯვე და, ფაქტობრივად, დაირღვა ჩემი სტერეოტიპი. მართლაც მოულოდნელი იყო, სამეულშიც რომ გავსულიყავი, ესეც ძალიან დიდი პატივი იქნებოდა. დღეს არ არის ადვილი სკოლაში მუშაობა, ძალიან დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია დირექტორებს და, წლიდან წლამდე, უფრო და უფრო მეტი სამუშაო გვაქვს. ხანდახან მგონია, რომ რაც უფრო მეტს აკეთებ, კიდევ უფრო მეტი დავალებები და ახალი სამუშაო ჩნდება. სულ საქმეში ვართ, გამორიცხულია, თუნდაც ერთი საათით განიტვირთო, დატვირთული სამუშაო რეჟიმი გვაქვს, სხვანაირად არ გამოდის.

აღიარება – ერთგვარი სტიმული

ეს აღიარება დირექტორებს ძალიან გვჭირდებოდა. როცა წლების განმავლობაში აკეთებ შენს საქმეს და გიყვარს, რასაც ემსახურები, მსგავსი სტიმულები ძალიან კარგად მუშობს როგორც დირექტორზე, ასევე ჩვენს მოსწავლეებზეც. მით უმეტეს, როცა ასეთ ჯილდოებზეა საუბარი – საზღვარგარეთ გარკვეული გამოცდილების მიღება, ლაბორატორია სკოლისთვის, მატერიალური მხარეც პლუსია (ამ მცირე ბიუჯეტის შემთხვევაში), რომელიც საერთოდ არც ვიცოდი, რომ იქნებოდა.

ვფიქრობ, ეს გამარჯვება სკოლის იმიჯისთვისაც კარგი იქნება, რადგან ეს არა მარტო ჩემი, მთლიანად სკოლის დამსახურებაა. მასწავლებლებთან ერთად, სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, სკოლაში ექსპერტებიც გვყავს, სპეციალისტები (იქნება ეს ფსიქოლოგი, სპეცპედაგოგი, მეტყველების თუ ნებისმიერი სხვა თერაპევტი), რომლებიც ამ ბავშვებთან არიან ჩართული, მათ გარეშე ვერ ვიმუშავებდი. ყველაფერმა ერთად, ჯამში, მოიტანა ეს შედეგი.

ჩვენს სკოლაში ძალიან კეთილგანწყობილი გარემოა. დაჯილდოების შემდეგ რომ მოვედი, კიდევ უფრო გახალისებულები დამხვდნენ ბავშვებიც და მთელი გუნდიც, უფრო მეტი ოპტიმიზმი გაგვიჩნდა მომავალთან დაკავშირებით. ჩვენი სფერო კი ისეთია, რომ, თუ ოპტიმიზმით არ ხარ განმსჭვალული და თითოეულ ბავშვზე არ გაქვს დადებითი მოლოდინი, თუნდაც ძალიან რთულ ბავშვთან გქონდეს საქმე, ვერ იმუშავებ (ლაპარაკია, რა თქმა უნდა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებზე).

დაჯილდოების ცერემონიალი

კარგად იყო ორგანიზებული, აბსოლუტურად განსხვავებული იმ ძველი, ხელოვნური ცერემონიალებისგან, რაც ადრე მახსოვს. მინისტრი, მასწავლებლის სახლის სპეციალისტები თუ სხვა მოწვეული სტუმრები, ყველანი ძალიან კეთილგანწყობილები იყვნენ. ძალიან უშუალო და თბილ ვითარებაში წარიმართა დაჯილდოების ცერემონია. გორის ბავშვთა არაჩვეულებრივმა კაპელამ სასიამოვნოდ შეაჯამა ღონისძიება.

ჩემთვის ეს დღე დაუვიწყარი იქნება მთელი ცხოვრების მანძილზე. თურმე ადამიანებს ძალიან გვჭირდება ასეთი აღიარება.

ინფორმაცია

აბასთუმნის ობსერვატორიის რეორგანიზაციის პროცესი დაიწყო

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, **ნუნუ მიცკევიჩმა** ევგენი ხარაძის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ადმინისტრაციასთან და მეცნიერ თანამშრომლებთან შეხვედრა გამართა. მხარეებმა განიხილეს ობსერვატორიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც ყველა მეცნიერ თანამშრომელთან კომუნიკაციისა და შეთანხმების გზით მიმდინარეობს.

შეხვედრის დასაწყისში მინისტრის მოადგილემ ხაზი გაუსვა, რომ სამინისტროს პოლიტიკა მიმართულია აბასთუმნის ობსერვატორიის, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის მქონე სამეცნიერო დაწესებულების შემდგომი განვითარების ხელშეწყობისკენ, ხარისხის ამაღლებისა და გლობალურ საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების გაძლიერებისკენ. საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბება გაზრდის აბასთუმნის ობსერვატორიის ავტონომიურობის ხარისხს. სამინისტროს მისიაა რეორგანიზაციის პროცესში ხელი შეუწყოს ობსერვატორიის მთავარი მმართველი ორგანოს – სამეცნიერო საბჭოს ჩამოყალიბებას, რომელიც იქნება უმაღლესი ლეგიტიმაციისა და ავტონომიის მქონე ორგანო და პასუხისმგებელი ობსერვატორიის შემდგომ განვითარებაზე.

მისივე განმარტებით, სამეცნიერო საბჭო განსაზღვრავს აბასთუმნის ობსერვატორიის ნიშასა და როლს მსოფლიო მასშტაბით, რის საფუძველზეც მოხდება მისი ტექნიკური აღჭურვა, მოდერნიზაცია და განვითარება აკადემიური მიმართულებით. ასევე, საბჭო წარმართავს ყველა იმ პროცესს, რომელიც აბასთუმნის ობსერვატორიის ინფრასტრუქტურული განვითარებისკენ იქნება მიმართული. დამტკიცებული საშტატო განრიგის საფუძველზე, პირველ ეტაპზე, კონკურსები გამოცხადდება მთავარი მეცნიერ თანამშრომლების შესარჩევად. საკონკურსო კომისია კი დაკომპლექტდება მაღალი ნდობის მქონე პროფესიონალი მეცნიერებით, რომლებიც კონკურსის გამჭვირვალედ და ობიექტურად ჩატარებას უზრუნველყოფენ.

განათლების სამინისტროში აცხადებენ, რომ მნიშვნელოვანია ამ მასშტაბის, მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო დაწესებულების განვითარება-გაძლიერება და მისი საერთაშორისო ჩართულობის ხარისხის ამაღლება გლობალურ სამეცნიერო სივრცეში. სამინისტროს პოლიტიკა სწორედ იქითკენ არის მიმართული, რომ აბასთუმნის ობსერვატორია, როგორც სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ხელმისაწვდომი გახდეს ყველა უმაღლესი სასწავლებლის, სამეცნიერო ორგანიზაციისთვის, მეცნიერებისა და ახალგაზრდა მკვლევრებისთვის როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე. შესაბამისი მემორანდუმის საფუძველზე, უნივერსიტეტებს შესაძლებლობა ექნებათ, სასწავლო პროცესში გამოიყენონ ობსერვატორიის რესურსები. ნუნუ მიცკევიჩმა ხაზი იმასაც გაუსვა, რომ ობსერვატორიის განვითარება საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი იქნება სხვა კვლევითი დაწესებულებებისთვის.

შეფასების ახალი მოდელი

რას შეაფასებს სასკოლო შეფასების ელექტრონული სისტემა

ლალი ჯელაძე

როგორც ცნობილია, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი მუშაობს ახალ პროექტზე „შეფასება განვითარებისთვის“, რომელიც სასკოლო შეფასების ელექტრონულ სისტემაზე გადასვლით სრულიად ახალ მოდელს დანერგავს. მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ხუთწლიანი პროექტი ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში პირველად დაამკვიდრებს შეფასების ახალ სტანდარტს, რომელიც მთლიანად დაფუძნებული იქნება არა განმსაზღვრელ, არამედ დიაგნოსტიკურ შეფასებებზე, რომელმაც ერთგვარი დიაგნოსტირება უნდა მოახდინოს, რა მდგომარეობა გვაქვს მეოთხე, მეექვსე და მეათე კლასელების წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების მიმართულებით.

2020 წელს პროექტი, მე-4 და მე-6 კლასების მოსწავლეებს, საპილოტე რეჟიმში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წიგნიერებაში) და მათემატიკაში (რაოდენობრივ წიგნიერებაში) შეაფასებს. მოსწავლეთა რეგისტრაცია და ტესტირება სასკოლო შეფასების ელექტრონული პლატფორმით განხორციელდება.

რა შესაძლებლობებს აძლევს პროექტი მოსწავლეებს, მშობლებს, მასწავლებლებსა და სკოლას, საერთოდ, რას გულისხმობს შეფასების ამგვარი სისტემა, დეტალებზე გვესაუბრება პროექტის „სასკოლო შეფასების ელექტრონული სისტემა – შეფასება განვითარებისთვის“ მენეჯერი ეკა ჯელაძე.

ახალი ტიპის შეფასების დანერგვის წინაპირობა

ამ ტიპის შეფასების საჭიროება იმიტომ გაჩნდა, რომ, პირველ რიგში, საქართველოში, ამ ტიპის შეფასება არ გვაქვს. გაუქმდა არსებული გამოცდებიც, ე.წ. CAT-ის გამოცდები, რომელიც სკოლის მოსწავლეს, 12 წლის სწავლის შემდეგ, სკოლის დამთავრებისას ამოწმებდა. ამ შეფასებით ჩვენ მოსწავლეს ვეუბნებოდით, რომ მან ან იცის, ან არ იცის ესა თუ ის საგანი. იმავდროულად, სკოლაში სწავლის პერიოდში, არც ერთ საფეხურზე, არც ერთ ეტაპზე, სახელმწიფო დონეზე, მოსწავლეს არ ვაფასებდით და არ ვაკეთებდით დიაგნოსტიკას – რა შეეძლო, სად უჭირდა, სად ჰქონდა კარგი მიღწევა იმისთვის, რომ სკოლასაც და მასწავლებელსაც ჰქონოდა რეალური სურათი, რომლის მიხედვითაც მის განვითარებაზე იზრუნებდნენ – შესაბამისად დაგეგმავდნენ საჭირო ინტერვენციებს. ახლა, ამ შეფასებით, დაბალ საფეხურებზე ჩამოვედით. მოსწავლეს საფეხურების დასრულების შემდგომ ვაფასებთ, თუმცა, დაწყებითი საფეხური გაყოფილია ორ ნაწილად – მეოთხე და მეექვსე კლასებად, თითოეულის დასრულებისას, შევაფასებთ და ვეტყვით მოსწავლესაც, სკოლასაც და მასწავლებელსაც, თუ რა ეტაპზეა თითოეული მოსწავლე, რომ მიეცეს სკოლას და მასწავლებელს შესაძლებლობა, მოსწავლის შემდგომი განვითარება ამ შეფასების საფუძველზე დაგეგმოს. ასეთივე შეფასებას გავაკეთებთ მეექვსე კლასში და კიდევ ერთხელ ვეტყვით მასწავლებელს, რომ კონკრეტული მოსწავლე ამაში კარგია, ამაში უფრო უჭირს...

შემდეგ უკვე ამავე მოსწავლეებს შევაფასებთ მეათე კლასში, ვნახავთ როგორ წარიმართა მათი განვითარება. მეათე კლასი იმიტომ გადაწყდა, რომ, მოგეხსენებათ, საბაზო საფეხური ათწლიან სწავლებაზე უნდა გადავიდეს, ნაცვლად ცხრა კლასისა (საშუალო საფეხური კი, ამ პროექტის ფარგლებში, ჯერჯერობით, არ განიხილება). ამიტომ, გვინდა, საბაზო საფეხურის დასრულებისას, ზუსტად ვიცოდეთ, რომელი მოსწავლე რა შედეგით ასრულებს საფეხურს. ამ შეფასებით საფეხურების ერთგვარ შეჯამებას ვაკეთებთ და ვქმნით, ასე ვთქვათ, თითოეული მოსწავლის რუკას, რაც პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენს.

ეს არის ამ ტიპის შეფასების დანერგვის პირველი მიზეზი.

მეორე მიზეზი ასეთი ტიპის შეფასებების დანერგვისა არის სკოლის და მოსწავლის ინდივიდუალური მონაცემებით უზრუნველყოფა. როგორც ცნობილია, ვმონაწილეობთ PIRLS-ში და TIMSS-ში, რაშიც დიდი რესურსი იხარჯება. ამ შემთხვევაში, შენ ეროვნულ დონეზე აძლევ შეფასებას, მაგალითად, წიგნერებისა თუ საბუნებისმეტყველო საგნების მიხედვით.

საერთაშორისო შეფასებების დროს, სკოლა, რომელიც უშუალოდ არ მონაწილეობს კვლევაში, ხშირ შემთხვევაში, არც ითვალისწინებს შედეგებს. ფიქრობს, რომ მის გვერდით მდებარე სკოლა შეფასდა, ის კი არა და მას მსგავსი პრობლემები არ აქვს, ეს პრობლემები მხოლოდ იმ სკოლას ეხება, რომელიც შეფასებაშია ჩართული. შესაბამისად, ეს ცუდი მონაცემიც მხოლოდ მას დაუწერეს.

ვერც საერთაშორისო კვლევებში ჩართული/მონაწილე სკოლა იღებს კონკრეტულად თავის მონაცემს, მან კი მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ხედავს საერთო მონაცემებს. ამიტომ, ბუნებრივად გაჩნდა მსგავსი შეფასების საჭიროებაც – ერთი, როგორც გითხარით, აუცილებელი იყო, დაბალ კლასებში გადმოგვეტანა და საფეხურებრივად სცოდნოდა თითოეულ მოსწავლეს თავისი შეფასება და მეორე – სკოლებისთვის მიგვეცა მონაცემები, რაზე ემუშავათ მომავალში თითოეულ მოსწავლესთან და კლასთან, მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ვახდენთ დიანგოსტირებას – რეალურ სურათს ვქმნით სად რა პრობლემა აქვთ აღნიშნული საფეხურის მოსწავლეებს, რომ შემდეგში, ამ შეფასებაზე დაყრდნობით, სკოლები მის გამოსწორებას ეცადონ.

შეფასების სპეციფიკა CAT-ის შემთხვევაში და განმავითარებელი შეფასებისას

ეროვნულ სასწავლო გეგმაში ძალიან გარკვევითაა ხაზგასმული, რომ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს მსჯელობისა და დასაბუთების უნარი, ესგ გეუბნება, რომ ეს უნარები უნდა განუვითარო მოსწავლეს, ასევე მას უნდა შეეძლოს ტექსტის გამთლიანება, მისი ანალიზი და ა.შ. არჩევითპასუხიანი დავალებებით კი, მსგავსი უნარების შემოწმება შეუძლებელია.

ახალი შეფასების სპეციფიკის შემუშავებისას, ბუნებრივია, გავითვალსიწინეთ TIMSS-ის, PIRLS-ის და PIZA-ს გამოცდილება. სწორედ ამ საერთაშორისო შეფასებების შედეგებს ეფუძნება/ემყარება განმავითარებელი შეფასება. პირველი, რასაც ვამბობთ, ის არის, რომ ამ ტიპის შეფასებებით, ჩვენ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებაში ვაფასებთ მოსწავლის შედეგებს, ბუნებრივია, მისი ასაკობრივი ჯგუფიდან გამომდინარე.

პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანიც სწორედ ეს არის – შევაფასოთ მოსწავლის უნარები ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებაში და მეორე, ასევე მთავარი მიზანია ის, რომ სკოლას და მოსწავლეს დავანახოთ საკუთარი მონაცემების შეფასებები, რომ ზუსტად იცოდნენ კონკრეტული ჩავარდნები თუ მიღწევები – სად უჭირთ და სად არა, რომ სკოლამ, მასწავლებელმა და მოსწავლემ შეძლონ მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება.

პროექტის მნიშვნელოვანი ხაზი

ბუნებრივია, პროექტში ტექნოლოგიები ძალიან მნიშვნელოვანია და ამიტომ ეს კომპონენტი ძლიერად შემოდის. წარმოუდგენელია, ამდენი მოსწავლის ტესტის ფურცელზე მომზადება, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კოლოსალურ თანხებზე გადის მისი ლოჯისტიკა – ჯერ მარტო 2000 სკოლის მოსწავლისთვის ამდენი ტესტის დაბეჭდვა და შემდეგ ადგილზე ჩატანა/შენახვა სახელმწიფოს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სამჯერ მეტი დაუჯდება. ბუნებრივიცაა, რადგან 2000 სკოლაში ბევრი მეოთხე, მეექვსე და მეათე კლასია, საერთო ჯამში, ათასობით მოსწავლეა. ფინანსური ხარჯების დაზოგვას რომ თავი დავანებოთ, ტექნოლოგიები გვაძლევს იმის შესაძლებლობას, მოსწავლეებში ისეთი უნარები შევაფასოთ, რის შეფასებასაც ფურცელზე, უბრალოდ, ვერ შევძლებთ.

ამიტომ ამ შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება ესეც არის – ყველაფერი ელექტრონულ ფორმატში წარიმართება, რამაც ბევრი კითხვა გააჩინა – შეძლებენ თუ არა ბავშვები კომპიუტერთან მუშაობას და ა.შ. პასუხი ასეთია: ჯერ ერთი, ჩვენ არ ვამბობთ, რომ წელსვე უნდა დაჯდეს ყველა მოსწავლე კომპიუტერთან და გაიაროს ტესტირება, სკოლებს ამისთვის მოსამზადებელი პერიოდი ეძლევათ. შეფასების პროცესი ეტაპობრივად განხორციელდება – მომავალ წელს უნდა დავფაროთ რაღაც ეტაპი, შემდეგ წელს კიდევ მომდევნო ეტაპი, ორ-სამწლიან პერიოდში კი, სკოლებს შეფასებისთვის მომზადების საშუალება ეძლევათ.

ტესტირებას, პირველ ჯერზე, მეოთხე და მეექვსე კლასებში ჩავატარებთ. როგორც ვიცით, სახელმწიფოს მხრიდან, საკმაოდ დიდი თანხა იხარჯება ბუკების შეძენა-დარიგებაზე. რადგან ბუკების სისტემა წლებია შემოსულია, ვფიქრობთ, არასწორია მუდმივად იმაზე ლაპარაკი, რომ მოსწავლეს კომპიუტერთან ელემენტარული რამის გაკეთება არ შეუძლია.

ამის გარდა, ვეყრდნობით რეალურ ფაქტებსაც – შარშან, როცა TIMSS-ის შეფასება ჩატარდა, დავალებების ნაწილი ფურცელზე შეასრულეს, ნაწილი კი – ელექტრონულად. ბუნებრივია, მოხდა შედარება – ძალიან დიდი განსხვავება ხომ არ იყო ელექტრონულად შესრულებულ ტესტებსა და ფურცლებზე დაწერილს შორის, გვინდოდა გაგვეგო, ჩვენს მოსწავლეებს ისტ-ის ძალიან დაბალი უნარები ხომ არ აქვთ. აღმოჩნდა, რომ განსხვავება მცირეა – მართალია, ფურცელზე უკეთესი შედეგები აქვთ, მაგრამ სხვაობა მცირეა. ყურადსაღებია ისიც, რომ ePIRLS შეფასება მხოლოდ თბილისში არ ჩატარებულა და მასში ჩართული იყვნენ სოფლის სკოლებიც, მცირეკონტიგენტიანებიც და ა.შ. ასე რომ, ეს გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ელექტრონულ ფორმატში ტესტირების ჩატარება პრობლემა არ უნდა იყოს. დაბოლოს, იმაზეც ხომ უნდა ვიფიქროთ, რომ ტექნოლოგიების ეპოქაში ვცხოვრობთ. მუდმივად იმით მანიპულირება, რომ ტექნოლოგიების გამოყენების უნარები არ გვაქვს, უხერხულია. წარმოუდგენელია რაღაც პროდუქტი არ შექმნა იმ არგუმენტით, რომ მეოთხეკლასელმა რაღაც არ იცის. სკოლის ვალდებულება სწორედ ეს არის – ასწავლოს ის, რაც არ იცის. აბსოლუტურად წარმოუდგენელია, რომ წლების შემდეგ, როცა ეს მოსწავლე სკოლას დაამთავრებს, რამე ღირებულის გაკეთება შეძლოს ცხოვრებაში, თუკი ეს უნარები არ ჩამოუყალიბდა. ამიტომ გადაწყდა, შეფასება მთლიანად ტექნოლოგიურ პლატფორმაზე იყოს დაფუძნებული.

რაში ფასდება მოსწავლე

განმავითარებელი შეფასება, რაზეც ახლა ვსაუბრობთ, განკუთვნილია მეოთხე, მეექვსე და მეათე კლასებისთვის. ამ ეტაპზე კი, როგორც გითხარით, გათვლილია ორი მიმართულება – წიგნიერება და რაოდენობრივი წიგნიერება. რატომ? იმიტომ, რომ განათლების ექსპერტები თანხმდებიან, რომ თუ მოსწავლეს ეს ორი უნარი – წიგნიერება და რაოდენობრივი წიგნიერება – განვითარებული აქვს, ის ნებისმიერი საგნის შესწავლას შეძლებს იოლად და მარტივად.

მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ხუთწლიანი პროექტის შემდგომი ეტაპი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ განვითარდება, რა ინტერესები გაჩნდება და როგორ ჩაჯდება განათლების სამინისტროს საერთო ხედვასა და სტრატეგიაში. როცა პროექტი საბოლოოდ ჩამოყალიბდება და კარგად დაინერგება, შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს.

დაფარვის გრაფიკი

ბუნებრივია, შეფასებებს პილოტირების რეჟიმში ვიწყებთ. თებერვალში ჩატარდება აპრობაციები. პირველ რიგში, თვითონ დავალებები უნდა გამოიცადოს, უნდა ვიცოდეთ ზუსტად ზომავს თუ არა ტესტი იმას, რისი გაზომვაც გვინდა ამ შეფასებებით. მეორე მხრივ, სისტემა, რაც ახლა ავაწყვეთ, ბუნებრივია, ჯერ მცირე რაოდენობაზე უნდა დაიტესტოს, დავინახოთ, როგორ იმუშავებს და მერე ჩავუშვათ მასშტაბურად. ძალიან ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი, თუნდაც ის, რომ შეიძლება ძალიან კარგად იმუშაოს პატარა ჯგუფზე, მაგრამ ვერ იმუშაოს დიდზე, მაგალითად, სისტემამ გაჭედოს და ა.შ. ამიტომ, თებერვალში, გვექნება აპრობაცია, მაისში უკვე პროექტის პილოტირებას ვგეგმავთ, ქვეყნის მასშტაბით, 300-მდე სკოლა ჩაერთვება. ერთწლიანი გეგმა ასეთია. ბუნებრივია, ამის შემდეგ გადაიხედება შედეგები და კიდევ უფრო დაიხვეწება პროცესი, დავალებები, ზოგადად პროექტი. თუმცა, რა მასშტაბზე გავალთ 2021 წელს, ამას ჯერჯერობით ვერ ვამბობთ, რადგან, პირველ რიგში, უნდა ვნახოთ პილოტის შედეგები. ჩვენ მთლიანად დამოკიდებული ვართ ტექნოლოგიებზე, იმ სკოლაში, სადაც გამართული იქნება ტექნოლოგია, შეგვიძლია ბავშვი დავსვათ კომპიუტერთან და გავაკეთებინოთ ტესტები, ბუნებრივია, ასეთ სკოლებს დავამატებთ. პროექტის პირველი რიგის ამოცანაც სწორედ სისტემის გამართვაა, ამიტომ ვამბობთ, რომ შემდეგი ეტაპი მთლიანად დამოკიდებული იქნება ტექნოლოგიებზე. შესაბამისად, 2021-2022 წლებში, მოსწავლეთა რამდენ პროცენტს დავფარავთ, ეს ჯერ კიდევ მოკვლევის პროცესშია.

წელს პილოტი ჩატარდება მხოლოდ მეოთხე და მეექვსე კლასებში, ხოლო მეათე კლასის მოსწავლეთა შეფასებების დაწყებას 2021 წლიდან ვაპირებთ. ეს, გარკვეულწილად, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვასაც უკავშირდება, მოგეხსენებათ, შეცვლილი ესგ კლასების მიხედვით ემატება, ამიტომ, ბუნებრივიცაა, ჯერ შეცვლილი ეროვნული სასწავლო გეგმა გაიმართოს და შემდეგ, მასზე დაყრდნობით, მოვამზადოთ ტესტირებისთვის დავალებები.

ტესტის სპეციფიკა

პროექტისთვის ავირჩიეთ TAO Testing-ის პლატფორმა, რომელსაც, მაგალითად, PIZA იყენებს ტესტების შესაქმნე-

შეფასების ახალი მოდელი

ლად. ამ პლატფორმით, მსგავსი დავალებების შესაქმნელად, სარგებლობენ მთელი რიგი ქვეყნების განათლების სისტემები – საფრანგეთის, იტალიის, პორტუგალიის და ბევრი სხვა. პლატფორმას გარკვეული ფუნქციონალი აქვს, რომელსაც შენს საჭიროებებს მოარგებ, დაუმატებ ან მოაკლებ რამეს და ა.შ. რაც მთავარია, ღია წვდომის პროგრამაა, რაშიც ფულს არ ვიხდით, შეგვიძლია წამოვიღოთ და დავაყენოთ ჩვენს სერვერებზე (განათლების სამინისტროს სერვერებზე), მერე უკვე პროგრამისტებმა იმუშაონ ჩვენს საჭიროებებზე, ძირითადი პლატფორმა კი, როგორც გითხარით, უფასოა.

რაც შეეხება ტესტების სპეციფიკას, პლატფორმაშივეა ჩაშენებული სხვადასხვა ტიპის დავალებების შექმნის შესაძლებლობა, იქნება ეს არჩევითპასუხიანი დავალებები, ღია ტიპის, სადაც მოსწავლემ უნდა ჩაწეროს დასაბუთება და ა.შ., ან დავალებების თანმიმდევრულად დალაგება, ქრონოლოგიურად დაჯგუფება თუ ინტერაქციური დავალებები... მოკლედ, პლატფორმა ყველანაირი დავალების შექმნის საშუალებას გვაძლევს. რეალურად, ყველაფერი უკვე არსებობს პლატფორმაში, შესაბამისად, ჩვენ გვექნება სხვადასხვა ტიპის დავალებები – როგორც დახურული, ისე ღია ტიპის. დახურულში შედის არჩევითპასუხიანი, თანმიმდევრულად დასალაგებელი, შესაბამისობის ამომცნობი, გამოტოვებულ ადგილებში სწორი სიტყვების ჩასმა – რის გასწორებაშიც უკვე ფულიც აღარ დაიხარჯება, გამსწორებელი ამ ტიპის დავალებებს აღარ სჭირდება, რადგან თვითონ სისტემა აღიქვამს სწორ პასუხს. თუმცა, როგორც განათლების ექსპერტები ამბობენ, მხოლოდ დახურული ტიპის დავალებებით ვერ შეაფასებ მოსწავლეს (ამაზე უკვე ვისაუბრეთ), ამიტომ, მან უნდა შეძლოს დაწერა, დასაბუთება, მსჯელობა. მოსწავლემ მხოლოდ ამოცანის პასუხი კი არ უნდა დაწეროს, არგუმენტირებული მსჯელობით უნდა ახსნას სწორ პასუხამდე მისვლის გზები, ამისთვის კი, საჭიროა ღია ტიპის დავალებები. პროგრამა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მოსწავლემ ჩაწეროს სიტყვიერი მსჯელობა თუ ესსე. ამ ტიპის დავალებას სპეციალური პროგრამა შეამოწმებს, გამსწორებელთან ერთად.

როგორი თანაფარდობით იქნება ღია და დახურული ტიპის დავალებები, ეს საგანზეა დამოკიდებული. აქაც TIMSS-ისა და PIZA-ს გამოცდილებას ვეყრდნობით, რადგან იქაც, დაახლოებით, ასეთი თანაფარდობაა.

შეფასების კრიტერიუმები – ბარიერები თუ ქულები

ბარიერები და ქულები არ გვაქვს, რადგან მეოთხე და მეექვსეკლასელებზე ვსაუბრობთ (ვიცით, რომ მეოთხე კლასში ქულით შეფასება საერთოდ არ შეიძლება). ამ შეფასებით ჩვენ დიაგნოსტიკას ვახდენთ. მაგალითად, ეროვნულ სასწავლო გეგმაში მათემატიკა ოთხ მიმართულებადაა ჩაშლილი (ალგებრა, გეომეტრია, რიცხვები, სტატისტიკა), შეფასებით მოსწავლეს ვეუბნებით, რომ მას, ამ მიმართულებების მიხედვით, მაგალითად, ალგებრაში ამდენი დავალება ჰქონდა მიცემული, აქედან ამდენი შეასრულა, ამდენი ვერ შეასრულა. ამასთან ერთად, თითოეული დავალების შინაარსს ვაძლევთ, რომ მშობლისთვის უფრო გასაგები გავხადოთ, მის შვილს რა უნდა გაეკეთებინა და რას ვერ გაართვა თავი ან პირიქით. მაგალითად, უნდა შეეკრიბა ათწილადები და ეს ვერ მოახერხა – გვინდა, მშობლისთვის გასაგები გავხადოთ, რა შეუძლია ან არ შეუძლია მის შვილს კონკრეტული მიმართულებით. მშობელსაც და მასწავლებელსაც ვაძლევთ ამ ტიპის ინფორმაციას, მაგრამ ამ შეფასებით არ ვეუბნებით.

ამ შეფასებაში არ იქნება ქულები, რადგან ჩვენ ქულებით არ ვაფასებთ, ვახდენთ დიაგნოსტირებას, რა იცის და რა არ იცის. თავისთავად, ეს შეფასება არც სკოლის შემაჯამებელ ქულებზე აისახება. ამ შეფასებით, სკოლას ვაძლევთ ინსტრუმენტს, უნიფიცირებული ტესტით შეაფასოს რა არის მოსწავლის ძლიერი ან სუსტი მხარე და შემდეგ, ამ შეფასებაზე დაყრდნობით, იმუშაოს.

დიაგნოსტიკის სურათზე წვდომა

სისტემაში ცალკე მოდულია გათვალისწინებული – რეპორტი/ანგარიშგებისთვის.

მშობელი /მოსწავლე

რეპორტის სისტემაში ბავშვი შედის თავისი ექაუნთით/ანგარშით და ძალიან იოლად აღსაქმელად, მისთვის გასაგებად ხვდება ინფორმაცია – ხედავს თავის ინდივიდუალურ მონაცემებს, მიმართულებების მიხედვით ჩაშლილს. მაგალითად, ამდენი ამოვხსენი და ამდენი ვერა, ამ დავალების პირობა ეს იყო, ეს უნდა გამეკეთებინა და გავაკეთე ან ვერ გავაკეთე. ამას ხედავს მშობელიც.

მასწავლებელი

მასწავლებელს ცალკე რეპორტი ექნება გენერირებული, რომლითაც დაინახავს, ინდივიდუალურად, რომელ მოსწავლეს სად უჭირს, ასევე შედეგები გენერირებულია მთლიანად კლასის მასშტაბით. მაგალითად, კლასში ბავშვების ამ ჯგუფმა ეს ვერ გააკეთა, ამ ჯგუფმა ეს გააკეთა, ამის შესაბამისად, ის გეგმავს რა ტიპის ინტერვენცია, მეთოდოლოგიური ჩარევა მოახდინოს პრობლემის დასაძლევად. მაგალითად, კლასის უმეტეს ნაწილს თუ შეკრება-გამოკლება უჭირს, თავისთავად, საგაკვეთილო პროცესში, შემდგომში, სწორედ ამ მიმართლებით იმუშავებს.

სკოლა

სკოლა ცალკე რეპორტს მიიღებს, სადაც არა ინდივიდუალური მოსწავლის, არამედ გაერთიანებულ შედეგებს მივაწოდებთ კლასებისა და საფეხურების მიხედვით. სკოლა დაინახავს, თუ რა სიტუაციაა კონკრეტულ მეოთხე კლასში, ასევე, მეოთხე კლასის დონეზე არსებულ პრობლემებსაც. ეს დაეხმარება დაინახოს სად უჭირს მასწავლებელს, რომ შემდეგ მისი პროფესიული გაძლიერებისთვის დაგეგმოს აქტივობები – მაგალითად, მიაკითხოს მასწავლებლის სახლს, რომ მისმა პედაგოგმა გაიაროს ტრენინგი და ა.შ.

რეალურად, ჩვენ სკოლას ვაძლევთ შეფასების ინსტრუმენტს, რომელიც შემდგომ მან აუცილებლად უნდა გამოიყენოს. გვეკითხებიან ხოლმე, თუ არ გაითვალისინინა, ასეთ შემთხვევაში რა მოხდება? სკოლა დამოუკიდებელი ერთეულია და თვითონ უნდა მოახდინოს რეაგირება არა მხოლოდ ამ შეფასებაზე, არამედ ნებისმიერ რამეზე, რაც მის მოსწავლეს და მასწავლებელს ეხება. ბუნებრივია, ჩვენ ვერ მივუთითებთ, რა უნდა გააკეთოს, ეს არც პროექტის ფარგლებში მოიაზრება. ჩვენ ვაძლევთ სრულ სურათს, თავისი მიღწევებითა და პრობლემებით – ვეუბნებით რა უჭირს კონკრეტულ მოსწავლეს, კონკრეტულ კლასს და რა პრობლემა დგას სკოლის დონეზე, შემდეგ მისი გადასაწყვეტია, როგორ გამოიყენებს ამ მონაცემებს

შეფასების ჩატარების დრო

საპილოტე შეფასების ჩატარება დაგეგმილია სასწავლო წლის ბოლოს, თუმცა, შემდგომში შეფასებების ჩატარების დროდ სასწავლო წლის დასაწყისიც განიხილება. შეხვედრები გვქონდა სკოლის დირექტორებთანაც და მასწავლებლებთანაც, მათ შორისაც გაიყო აზრი, ნაწილი ამობს, რომ შეფასება უმჯობესია წლის ბოლოს ჩატარდეს, ნაწილი კი მიიჩნევს – წლის დასაწყისში. საბოლოო გადაწყვეტილება ამ საკითხზე ჯერ არ მიგვიღია. შეიძლება ისე მოხდეს, როცა პროექტის საბოლოო დიზაინი ჩამოყალიბდება, სკოლამ თვითონ შეძლოს არჩევანის გაკეთება – როდის ურჩევნია შეფასების ჩატარება, სასწავლო წლის დასაწყისში თუ დასასრულს.

სკოლების შერჩევა

საპილოტე შეფასებისთვის სკოლები მთელი ქვეყნის მასშტაბით შეირჩევიან. რადგან პილოტია, ჩვენ გვაინტერესებს, პროექტის ყველა დეტალი ყველა ტიპის სკოლაში გამოიცადოს. თუნდაც, დავტესტოთ ტექნიკური სახის პრობლემები, რომლებიც შესაძლოა შეფასების პროცესის დროს წარმოიშვას. ამ კუთხით, ძალიან ვართ დაინტერესებული და, აქედან გამომდინარე, მივყვებით ინფრასტრუქტურას და არა ისეთი სკოლების არჩევას, რომლებმაც უკეთესი ან უარესი შედეგი უნდა აჩვენონ. თავისთავად, პილოტის პროცესში მოხვდებიან „ახალი სკოლის მოდელში“ ჩართული სკოლებიც, რადგან იქ ინფრასტრუქტურა უკვე მოწესრიგებულია, თუმცა, რასაკვირველია, არა ყველა.

პროფესიული განათლება

ინტეგრირებული მოდულები

ლალი თვალაბეიშვილი

ცხრაკლასდამთავრებულ მოსწავლეებს, აპრილიდან, შესაძლებლობა ეძლევათ, რომ დამამთავრებელი კლასების პროგრამა პროფესიულ კოლეჯებში გაიარონ და პროფესიის დამადასტურებელ დიპლომთან ერთად, სკოლის ატესტატიც აიღონ. ეს საინტერესო სიახლე პროფესიულ კოლეჯებში სწავლის გაგრძელების მსურველ ახალგაზრდებს, მომავალში, უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარების შანსს მისცემს.

სიახლე იქნება სწავლების მეთოდიკაშიც, რისთვისაც მასწავლებლებს კონკურსის წესით შეარჩევენ. როგორც განათლების მინისტრის მოადგილე **თამარ ქიტიაშვილი** ამბობს, ფაქტობრივად, პროფესიულ განათლებაში მასწავლებლის ახალი ტიპი გაჩნდა – ინტეგრირებული მოდულების მასწავლებელი. რამდენიმე თვეში, ეს ახალი ტიპის მასწავლებლები კოლეჯებში გამოჩნდებიან და პროფესიული კოლეჯები ცხრაკლასდამთავრებული მოსწავლეების სწავლებას ახალი მეთოდით დაიწყებენ. *„მასწავლებელმა უნდა შეძლოს, კონკრეტული პროფესიისთვის რელევანტური თემატიკის შეთავაზებით სტუდენტის სწავლის შედეგებზე გაყვანა. ეს ძალიან საინტერესო სამუშაოა მასწავლებლისთვის, ვინაიდან ყველა დარგში და ყველა მიმართულებით, კონკრეტულ პროფესიასთან მოუწევთ თემატიკის მისადაგება.“*

მართალია, კოლეჯებს სრული ზოგადი განათლების კომპონენტი ემატებათ, თუმცა, საგნების სწავლების ფორმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლებისგან განსხვავებული იქნება. პირველი სხვაობა – ის თოთხმეტი საგანი, რომელიც X-XII კლასებში ისწავლება, შეიკუმშა და ექვს მოდულში გაერთიანდა. მაგალითად, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია და გეოგრაფიის ნაწილი მეცნიერების მოდულში ინტეგრირდა და ერთ საგნად ისწავლება, ისტორია და სამოქალაქო განათლება მეორე საგნად. ამასთანავე, მოსწავლე, მაგალითად, ქიმიაში, თეორიული სწავლების შემდეგ, გამოცდებს პრაქტიკული ექსპერიმენტებით ჩააბარებს.

სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტის კურიკულუმის განვითარების ექსპერტი **ნიკო სილაგაძე** ამ პროცესს ასე ხსნის: *„ყოველი ახალი საკითხის შესწავლის შემდეგ, ახალგაზრდა ქმნის გარკვეულ პროექტს, შემოქმედებით პროდუქტს, რითაც ადასტურებს, რომ გაიგო ის, რის შესახებაც მასწავლებელი აწვდიდა ინფორმაციას. მაგალითად, ქიმიის შემთხვევაში, ქიმიური ელემენტების შესწავლის პროცესში, მას შეიძლება პროექტულ დავალებად ჰქონდეს, შეისწავლოს ნიადაგის შემცველობა და რეკომენდაცია მიაწოდოს ნაკვეთის მფლობელს, როგორ მოიქცეს იმისთვის, რომ არ გადაინვას ნიადაგი და უფრო მოსავლიანი იყოს შემდგომ წლებში.“*

სწორედ ასეთი, სასკოლო და პროფესიული სწავლების, ინტეგრირებული მეთოდია სიახლე. საქართველოსთვის ეს იმდენად ახალია, რომ შეიძლება ექსპერიმენტული სწავლებაც კი ეწოდოს. შესაბამისი მასწავლებლების გამოსავლენად, კონკურსი გამოცხადდა.

პროფესიულ კოლეჯებში სასკოლო საგნების დამატება ცხრაკლასდამთავრებულთათვის სრულიად ახალ შესაძლებლობებს ხსნის. აქამდე მათთვის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების საშუალება ფაქტობრივად არ არსებობდა. პროფესიული განათლების სისტემა ინტეგრირებული პროგრამების განხორციელებას 2020 წელს, საგაზაფხულო მიღების ფარგლებში, დაიწყებს და სტუდენტებს, პროფესიის შესწავლის პარალელურად, ზოგად განათლებას პირველად შესთავაზებს. ინტეგრირებული სწავლებისთვის სპეციალური პროგრამა შეიქმნა და დაიწყო ტრენინგების ციკლი, რომელიც პროფესიულ განათლებაში ზოგადსაგანმანათლებლო კომპონენტის ინტეგრირების საკითხებს შეეხება. ტრენინგს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **კახაბერ ერაძე** კერძო და საჯარო კოლეჯების წარმომადგენლებისთვის ატარებდა. ტრენინგის მონაწილეებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილიც შეხვდა და ინიციატივის დანერგვის პროცესში სამინისტროს მხარდაჭერაზე ესაუბრა.

კახა ერაძე უმნიშვნელოვანესად მიიჩნევს ზოგადი განათლების ინტეგრირებას პროფესიულ სწავლებაში, რამაც უნდა აღმოფხვრას წლების განმავლობაში არსებული საგანმანათლებლო ჩიხი. *„ამ საკითხის ირგვლივ შეხვედრები, ტრენინგები და ინტერვენციები სისტემაში, წლის ბოლომდე, ინტენსიურად გაგრძელდება. ხარისხის განვითარების ცენტრის მისიაა, ხელი შეუწყოს ხარისხის განვითარებას. ამგვარად, ჩვენ კოლეჯებს არ ვტოვებთ იმ გამოწვევების წინაშე, რაც მათ ახალმა დებულებამ დაუყენა.“*

ზურაბ ოშხნელი, თსუ-ს მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი: *„ინტეგრირებული სწავლება სიახლე არ არის, უფრო კარგად დავიწყებული ძველია, მხოლოდ სხვა სახელი ერქვა და სხვა ფორმით ხორციელდებოდა. სიკეთე ის არის, რომ ეს სისტემა ბრუნდება უფრო მეტად გააზრებული, გაფილტრული, უკეთ მოფიქრებული, უფრო თანამედროვეობაზე მორგებული და ამაში ძალიან დიდი წვლილი აქვს როგორც განათლების სამინისტროს, ისე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რომელთა დიდი ძალისხმევით დაიწყო, თავის დროზე, ამის პილოტირება.“*

ზოგადი და პროფესიული განათლების საფეხურებზე საკვანძო კომპეტენციების განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხებოდა, ასევე, ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებული კვლევის შედეგების განხილვა, რომელშიც თამარ ქიტიაშვილმა მიიღო მონაწილეობა. განხილვას განათლების ექსპერტები, სფეროს საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

ევროკავშირის კვლევის შედეგების განხილვის დროს მხარეებმა, საკვანძო კომპეტენციების ევროპულ ჩარჩოსთან მიმართებაში, საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების შესახებ ისაუბრეს.

თამარ ქიტიაშვილი ამბობს, რომ კვლევამ ცხადად აჩვენა, სტანდარტებისა და ეროვნული სასწავლო გეგმების დონეზე, საკვანძო კომპეტენციები სათანადოდ არის წარმოდგენილი, თუმცა არსებობს გარკვეული გამოწვევები განხორციელების პროცესში. ევროპის განათლების ფონდის მხრიდან გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები, რომლებიც სამინისტროს მიერ გათვალისწინებული იქნება.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ზოგადი და პროფესიული განათლების საფეხურებზე საკვანძო კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა იქნება ევროკავშირსა და სამინისტროს შორის მომავალი თანამშრომლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო დანესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტების დანერგვის მხარდაჭერის მასშტაბური ღონისძიებების დიდი ნაწილი.

ზოგადი და პროფესიული განათლების საფეხურებზე საკვანძო კომპეტენციების განვითარების მიზნით ევროკავშირთან თანამშრომლობა გაგრძელდება.

საუბრები ლიტერატურაზე

სოხუმის ალება მეოცე საუკუნის დასაწყისში (ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბას“ მიხედვით) და სოხუმის დაცემა მეოცე საუკუნის ბოლოს

სიმბოლურია, მეოცე საუკუნეში სოხუმი ორჯერ დავკარგეთ, პირველად საუკუნის დასაწყისში, უბრძოლველად და შეიძლება ითქვას უსისხლოდ, მაგრამ საუკუნის ბოლოს რაც მოხდა, საქართველოს მრავალომგადახდილ ისტორიას, შეიძლება ითქვას, რომ არ ახსოვს. დღემდე (უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტი დრო გავიდა) გაურკვეველია, ბურუსითა და სიდუმლოთია მოცული ის ისტორიული რეალობა, რის გამოც დატრიალდა ეს საშინელი ტრაგედია, ტრაგედია, რომელსაც მხოლოდ ომი არ შეიძლება ეწოდოს. იგი ომზე უფრო ამაზრზენი რამ იყო ჩვენთვის. ჩვეულებრივ ომში ქვეყანამ იცის თავისი მტერი, ამ ომში კი მოყვარეც მტერი გამოდგა, ნებსითი თუ უნებლიე მტერი. სიმბოლურია ისიც, რომ ომი 13 თვესა და 13 დღეს გაგრძელდა და სოხუმი მაინცა და მაინც 27 სექტემბერს დაეცა, უფლის ცხოველსმყოფელი ჯვრის ამაღლების დღესასწაულზე. ამაზე პირდაპირი ნიშანი იმისა, რომ სოხუმის დაცემით, აფხაზეთის დაკარგვით უფალმა სამართლიანად დაგვსაჯა იმ ცოდვათა გამო, რომელსაც ერთმანეთის მიმართ და ღვთის წინაშე ჩავდიოდით ქართველები, უბრალოდ წარმოუდგენელია. საკმაოდ შორს წაგვიყვანს ამ ცოდვათა ჩამოთვლა. სამწუხაროდ, ჩვენი უბედურება მხოლოდ ამაში არ მდგომარეობს – მეოთხედი საუკუნეა ვერ მოვახერხეთ დაკარგულის დაბრუნება და რაოდენ გასაოცრადაც უნდა მოგეჩვენოთ, ისევ იმავე მიზეზთა გამო რა მიზეზითაც დავკარგეთ – *„თვით ანგრევენ მას რის აღდგენაც სურთ, თვით შველიან მას რასაც ებრძვიან“*. ამ უგუნურ მდგომარეობაში უკვე რამდენიმე საუკუნეა, რაც იმყოფება ჩვენი „ბედნიერი ერი“.

ქართულ მწერლობაში კონსტანტინე გამსახურდიას რომანის – „მთვარის მოტაცება“ – გარდა არსებობს კიდევ ერთი შესანიშნავი ნაწარმოები, რომელიც აფხაზეთის, კერძოდ კი სოხუმის დაკარგვის ისტორიას გადმოგვცემს XX საუკუნის დასაწყისში. ეს ნაწარმოები ყველასათვის კარგად ცნობილი „ჰაკი აძბა“ გახლავთ. ლეო ქიაჩელის ეს მოთხრობა განსაკუთრებულად საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ იგი ნამდვილ ამბავზეა აგებული. ნამდვილ ამბავს კი აკაკი ბაქრაძე გადმოგვცემს თავის წერილში „მასალა და მოთხრობა“: *„1918 წლის 15 თებერვალს სოხუმის ნავსადგურში მოულოდნელად შეჩერდა დამხმარე კრეისერი „დაკია“. იგი ტრაპიზონიდან სევასტოპოლში ბრუნდებოდა, კავკასია-თურქეთის მოშლილი ფრონტიდან რუსეთში გადაჰყავდა ჯარისკაცები“.*

ახლა ვნახოთ როგორ იწყებს მოთხრობას მწერალი და რამდენადაა შეცვლილი გემის სვლის მიმართულება, სახელწოდება და ეკიპაჟის რაოდენობა.

„ეს მოხდა ქ. სოხუმში, 1918 წელს, როცა რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ უსასტიკესი ომი მიმდინარეობდა. განსაკუთრებით მძაფრი იყო ეს ომი სამხრეთ რუსეთში, სადაც რეაქცია უკანასკნელი პოზიციების შენარჩუნებას ცდილობდა. საბჭოთა ხელისუფლება ძლევამოსილად უტევდა მას და შავი ზღვისკენ ერეკებოდა, თავის საზღვრებიდან აძევებდა...

აფხაზეთი მაშინ ამიერკავკასიის კომისარიატის ხელისუფლებას ემორჩილებოდა და ფაქტიურად რუსეთს მოწყვეტილი იყო და აღნიშნული წლის თებერვლის 27-ს დილაადრიან ქალაქ სოხუმში ხმა გავარდა მოულოდნელად:

ბოლშევიკების კრეისერი „შმიდტი“ ქალაქის ნავსადგურს უახლოვდება, ეტყობა, შემოსვლას აპირებსო“.

მწერალმა, ამ პატარა მონაკვეთში ორი მნიშვნელოვანი ფაქტი გადმოგვცა. პირველი – საბჭოთა რუსეთის ფარგლებში ჯერ კიდევ არ შედის შავი ზღვა (ყოველ შემთხვევაში, საქართველოს კუთვნილი მინა-წყლის სანაპირო ზოლი), მეორე და უმთავრესი (რაც ჩემი კვლევის საგანია) – აფხაზეთი „ამიერკავკასიის კომისარიატს ემორჩილებოდა და ფაქტობრივად რუსეთს მოწყვეტილი იყო“. რაც შეეხება „ამიერკავკასიის კომისარიატს“, აკაკი ბაქრაძის გადმოცემით: *„ამიერკავკასიას განაგებდა ამიერკავკასიის სეიმი. სეიმი ჭრელი იყო, ვის არ მოეყარა აქ თავი – ქართველ მენშევიკებს, სომეხ დაშნაკებს, აზერბაიჯანელ მუსავატელებს...“.*

ეს „ნაირ-ნაირი პოლიტიკოსები“ თავისი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ითხოვდნენ ამიერკავკასიის პოლიტიკურად მოწყობის საკითხის გადაწყვეტას, მხოლოდ *„ქართველი მენშევიკები იცავდნენ რუსეთთან სრული ერთიანობის თვალსაზრისს“*. ეს „სრული ერთიანობა“, მხოლოდ უკვე ბოლშევიკური, არ დაახანებს *„და... ბოლშევიკების კრეისერი „შმიდტი“ ქალაქის ნავსადგურს უახლოვდება“*. როგორც ვთქვით, ლეო ქიაჩელმა თავის ნაწარმოებში გემსაც შეუცვალა სახელწოდება და ეკიპაჟის რაოდენობაც შეამცირა.

რეალურად არსებული, ჯარისკაცებით დატვირთული კრეისერ „დაკიას“ ნაცვლად, ნაწარმოებში რამდენიმე მეზღვაურისგან შემდგარი კრეისერი „შმიდტია“. ისმის კითხვა: რატომ შეუცვალა მწერალმა სახელწოდება, შემადგენლობა და გეზი გემს? სახელწოდებას რაც შეეხება, ისევ ბატონ აკაკის მივმართავ ამასთან დაკავშირებით: *„არც „დაკია“ და არც „დერზკი“ მკითხველს არაფერს ეუბნება. „შმიდტი“ კი უცბად აღძრავს ასოციაციას და დაგაკავშირებს იმ წლებში მეტად პოპულარული ადამიანის სახელთან. ეს კაცი გახლავთ შავი ზღვის ფლოტის ლეიტენანტი პეტრე შმიდტი“.*

რაც შეეხება შემადგენლობასა და გეზს, ჩემი აზრით, მწერალს სურს დაგვანახოს ადგილობრივი ხელისუფლების უსუსურობა, რომ გემის მცირე შემადგენლობის მიუხედავად, ქალაქის ხელისუფალთ აზრადაც კი არ მოსვლიათ წინააღმდეგობის გაწევა. რეალურად მომხდარი ფაქტის შესახებ კი აკაკი ბაქრაძე ამბობს: *„ადგილობრივ ხელისუფლებას ძალა არ შესწევდა, კრეისერი „დაკია“ ქალაქში არ შემოეშვა“*. გემის სვლის მიმართულებას რაც შეეხება, ნაწარმოების მიხედვით, იგი ჩრდილოეთის მხრიდან მოადგება ქალაქს და არა სამხრეთიდან. ავტორს თითქოს სურს მიგვანიშნოს თუ საიდან უნდა ველოდოთ საფრთხეს მომავალშიც.

ამ საფრთხემ თავგზა აუბნია ქალაქის თავს – სამსონ დავანაძეს. სოხუმში ყველასათვის ცნობილმა ვაჭარმა, რაჟდენ თორიამ, მას *„გაგრის გამოძახება“* ურჩია. *„გაგრის“* დასტურის შემდგომ, რომ სანაპიროსთან მართლაც მოძრაობდა სამხედრო გემი და სოხუმისაკენ გამოემართა, ქალაქის მერი *„სერიოზულად დაფიქრდა“, „დავანაძეს იგი პოლიტიკური მნიშვნელობის საფრთხედ ეჩვენებოდა“.*

ქალაქის თავი ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა – *„თუ მოყვრულად დავხვდი, შენი მტერია, ბოლშევიკობას შემწამებენ. თუ მტრულად – გაბედე თუ ვაჟკაცი ხარ: ნავი კი არ არის, კრეისერია ნამდვილი, მერე ისიც ბოლშევიკების. რისი იმედით? ის კუზმა-მრისხანეც უთუოდ ტყუილად არ ატარებს თავის მეტსახელს“*. ამ ფიქრებში ნათლად იკვეთება საქართველოს და კერძოდ აფხაზეთის იმდროინდელი თავდაცვის მდგომარეობა; სწორედ ამიტომ, დავანაძე უჩვეულო გამოსავალს „ნახავს“ – *„პირველი ნაბიჯი, რომელიც მან გადადგა ყოველნაირი პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად, ეს იყო თბილისში საიდუმლო დეპეშის გაგზავნა: ასეა საქმე და როგორ მოვიქცეთო. მაგრამ ეს იყო უფრო ფორმალობის დაცვა მისი მხრით. კარგად იცოდა, რომ დროზე არავინ უპასუხებდა და თუ მიიღებდა მაინც რაიმე პასუხს, იგი სახელმძღვანელოდ უთუოდ არ გამოადგებოდა“*. ეს აზრი კი იმას ადასტურებს, რომ არც თბილისში იყო დიდად განსხვავებული მდგომარეობა თავდაცვისა და პასუხისმგებლობის თვალსაზრისით. *„ყოველნაირი პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად“* – ამ სიტყვების ავტორი ნამდვილად დიდი მწერალია; ეს ქვეყნის დამაქცევარი აზრი, რომლითაც დავანაძის მთელი არსება იყო მოცული, არის სწორედ ის უმთავრესი მიზეზი, რის გამოც არა მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში, არამედ საუკუნის ბოლოსაც დავკარგეთ სოხუმი და მასთან ერთად მთელი აფხაზეთიც, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერია იმ მზაკვრულ აზრთან და გეგმასთან, რომელსაც დავანაძეს თავის *„კარგი მეგობარი“, „მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე – ნარიქ ეშბა“* მიაწვდის: *„ეშბამ გულდასმით მოისმინა... მაშინვე მიხვდა ქალაქის თავის განზრახვას... და ასეთი მეგობრული პასუხი გასცა: – პასუხისმგებლობას ან შენ რატომ იკისრებ, ძვირფასო სამსონ ან რატომ გინდა, რომ მე მაკისრებინო მაინცდამაინც. თუ პასუხისმგებლობამდე მივიდა საქმე, სჯობია მისი ტვირთი ისე განაწილდეს, რომ ბრალი ყველას და ამავე დროს არავის არ დაედოს...“*

კომუნისტების იდეოლოგიაღა აკლდა დავანაძის უპასუხისმგებლობას და არაჩვეულებრივი ქართულ-აფხაზური (აფსუური), მენშევიკურ-ბოლშევიკური წრედიც შეიკრა, წრედი, რომელიც თვალისდაუხამხამებლად გაწირავს ტრადიციას, ღირსებას, სარწმუნოებას უჯუშ ემხასა და ჰაკი აძბას სახით და, მათთან ერთად, აფხაზეთსაც. სამსონ დავანაძე კი თავისთვის ფიქრობდა: *„აფხაზები ბუნებით დიპლომატები არიან, კიდევ მაჯობა მგონია ჭკუაში...“ მაგრამ რაკი რჩევა ძალიან მოეწონა ჯობნა არც სწყენია“. „საქმეს ფიცხლად შეუდგა“, „პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა ისე სწრაფად შედგა, რომ ქვორუმს მონატრებული ქალაქის თავის ყოველ მოლოდინს გადააჭარბა“.* როგორც ვხედავთ, ქალაქის თავი დროს არ კარგავს და თავს არ ზოგავს, რომ რაც შეიძლება „მომზადებული“ დახვდეს კრეისერს. სხდომას ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე – ბექირბი ჩაჩბა ხსნის. ავტორს დიდად არ შეუწუხებია თავი არც დავანაძის, არც თორიას, არც ეშბას დახასიათებისათვის, მხოლოდ მათი თანამდებობრივი და სოციალური სტატუსის თქმით შემოიფარგლა, ხოლო რაც შეეხება ბექირბი ჩაჩბას, მის პიროვნებას ლეო ქიაჩელი დაწვრილებით ახასიათებს: *„აფხაზთა შორის მეტად პოპულარული პიროვნება, მისდამი პატივისცემას ყველასათვის სავალდებულოდ ხდიდა, გარდა დიდი გვარისა, რომლის უპირველეს წარმომადგენლად ითვლებოდა, მისი იშვიათი ტანადობაც და განსაკუთრებული აფხაზური იერით შემკული სახიერება. მიუხედავად ხანდაზმულობისა, ბექირბი ჩაჩბა ისე ატარებდა თავისი მოდგმის არისტოკრატიულ ნიშნებს, რომ ყოველი თავმომწონე აფხაზი მოვალედ თვლიდა თავს მიებაძნა მისი სიტყვა-პასუხის, მოქცევისა და ჩაცმა-დახურვისათვის“.*

მთელ ამ აღწერილობას რომ თავი გავანებოთ, მხოლოდ ეს ერთი ფრაზა – *„აფხაზური იერით შემკული სახიერება“* – მეტყველებს და მიუთითებს იმაზე, თუ როგორ ფასდებოდა ქართველთა მიერ აფხაზთა (აფსუათა) *„მოდგმის არისტოკრატიული ნიშნები“*. მსგავსი დაფასება და შეფასება ამ ეთნოსს არ ჰქონია არც ერთი აფხაზეთში მოსახლე ეროვნების მიერ. XX საუკუნის დასაწყისში კი, აფხაზეთში, ქართველებისა და აფსუების გარდა, ცხოვრობდნენ: რუსები, ბერძნები, სომხები... ამის შესახებ ცნობებს ჩვენი ავტორიც გვაწვდის.

დავუბრუნდეთ ნაწარმოების იმ მონაკვეთს, სადაც პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა მიმდინარეობს და ბექირბი ჩაჩბას კითხვას – *„რა ვქნა, ბოლშევიკები კარს მოგვადგნენო“* – რა პასუხს გასცემს დარბაზი. *„სიჩუმე ჩამოვარდა“* – გვეუბნება ავტორი. *„დამსწრენი ენაწყლიანი ორატორების გამოსვლას მოელოდნენ, მაგრამ ახლა სიტყვის თქმის მსურველი არავინ გამოჩნდა, არც პოლიტიკური ხელმძღვანელები“*. ამ სიტყვებში აშკარად ჩანს თუ როგორაა საზოგადოება შიშისაგან დაზაფრული. ხმის გაღებას მხოლოდ ის კაცი გაბედავს, ვისაც ყველაზე მეტად ეშინია ომის, ყველაზე მეტი ქონების გამო. ეს გახლავთ *„უპარტიო რაჟდენ თორია, ხმოსანი და მდიდარი მესაკუთრე“*. თორიას აზრით, *„ახლა პოლიტიკური ანგარიშების გასწორების დრო არ არის... ჩვენ უბრალო ხალხი ამ ანგარიშებში არ ვერევით. „შმიდტის“ ერთი გასროლაც კი საკმარისია, რომ ჩვენი სახლები და მთელი ჩვენი სარჩოსაბადებელი... ცეცხლმა თვალისდახამხამებაში ჩანთქას, ჩვენი ყოფა-ქცევაც ამ უეჭველი გარემოებიდან უნდა გამომდინარეობდეს: გემიც და მისი მეზღვაურებიც მთელმა ქალაქმა ისეთი პატივისცემით უნდა მიიღოს, რომ ეჭვიც კი არავის დაებადოს ჩვენს მათდამი თანაგრძნობასა და მეგობრულ განწყობილებაში. მთელმა დარბაზმა ერთხმად წამოიძახა: – მართალია, სწორია“*.

ჩვენი სახელმწიფოს სისუსტის და ტერიტორიების დაკარგვის კიდევ ერთ მიზეზს გვამცნობს მწერალი – *„პოლიტიკური ანგარიშების გასწორება“*. ამ მიზეზმა გაბედა და XX საუკუნის დასაწყისში ერის წინამძღოლს – ილია მართალს – ტყვია ესროლა; ამ მიზეზმა, იმავე საუკუნის დასაწყისში, სახელმწიფოებრიობა (მართალია, შემთხვევით ბოძებული, მაგრამ მაინც) დაგვაკარგინა; ამ მიზეზმა, იმავე საუკუნის მიწურულს, აფხაზეთი და სამაჩაბლო მოგვწყვიტა; ამ მიზეზით, თითქმის სამი ათეული წელია, ვითომ თავისუფლები და დამოუკიდებლები ვართ და სინამდვილეში ქვეყანა სახელმწიფოდ ვერ შედგა. კიდევ რამდენი უბედურება გველის (თუ გონს ვერ მოვედით) ამ მიზეზით, მხოლოდ უფალმა უწყის.

დავუბრუნდეთ ლეო ქიაჩელს და მის ნაწარმოებს. როცა ქალაქის საბჭოში *„უკანასკნელი შემოწმებული ცნობა მოიტანეს: კრეისერ „შმიდტს“ გეზი ნავსადგურისკენ აქვსო, მთელი ქალაქი უმალვე გამოიცვალა ისეთი ფაციფუცი, მოძრაობა და განგაში ატყდა, რომ კაცს ეგონებოდა, შავი ზღვის ნაპირად ამ მზიან დილას სასწაული რამ მოვლინებოდა და პატარა, წყნარი და კოხტა სოხუმის ადგილას საიდანღაც ვეება, აურზაურიანი ქალაქი გაშენებულაო...*

მოქალაქენი მეტწილად თავიანთ სახლებს უტრიალებდნენ და წითელი დროშებით ამკობდნენ. რაც შეიძლება მალე, გამოეკიდათ თავისი სახლის წინ წითელი დროშა და ამით ყოველი ეჭვი თავიდან აეცილებინათ“.

მოკლედ, ზღვის სანაპირო, რესტორანი და მთელი ქალაქი, დიდი თუ პატარა კუზმა მრისხანეს მოსაწონებლად მორთულიყო და დარბოდა, მხოლოდ იმავე სასტუმროს მეორე სართულზე, *„ფანჯრებდახშულ ოთახში ხუთი კაცი ჩაკეტილიყო“*. ავტორი აშკარად მიუთითებს მკითხველს, რომ ისინი რეალურ სამყაროს მოწყვეტილნი არიან, ბანქოს თამაშობენ, მაგიდა ფულითაა მოფენილი და საინტერესოა ამ „ფულების“ წარმომავლობა – *„ცალკე ეწყო რუსეთის იმპერიის გაუქმებული ასიგნაციები და ოსმალური ლირები, ცალკე სხვადასხვა კუთხის, ოლქის თუ რესპუბლიკის, მეტწილად ამიერკავკასიის „ბონები“, „კერენკების“ ჩათვლით“*, როგორც ვხედავთ *„რუსეთის იმპერიის გაუქმებული ასიგნაციები და თურქული ლირები“* გამოყოფილია *„ამიერკავკასიის „ბონებს“*. ფულის ერთეულების საშუალებით ადვილად შეგვიძლია აფხაზეთში არსებული პოლიტიკური ვითარების გარკვევა. ავტორი შემთხვევით არ აკეთებს აქცენტს ორი იმპერიის ფულის ერთეულზე: ერთი ჩრდილოელი მეზობელია, მეორე – სამხრეთელი. ორივე მათგანი ერთნაირი საფრთხე იყო ჩვენი ქვეყნისათვის და არის დღესაც.

ოთახში მყოფი ხუთი კაციდან ერთს სავარძელში ეძინა, მაგრამ მიუხედავად ამისა, *„სახეზე რაღაც ღრმა წუხილის ლანდები მიმოურბოდნენ... **შინდისფერი** მოკლე ახალუხი ბუნებრივი კანივით შემოკვროდა“. „შინდისფერი ახალუხი“, „ბუნებრივი კანივით“*, ჩემი აზრით ამას შემთხვევით არ უნდა წერდეს მწერალი. თუ გავიხსენებთ ნიკო ლორთქიფანიძის „შვინდაძეს“ მოთხრობიდან „შელოცვა რადიოთი“, აშკარა გახდება, რომ ეს ფერი იმდროინდელი თავისუფალი საქართველოს დროშის ფერია და უჯუშ ემხასათვის ის *„ბუნებრივი კანია“*.

„...ეს იყო თავად უჯუშ ემხა, აფხაზი, მეფის დაშლილი ჯარის ოფიცერი, შტაბს-როტმისტრი ჩერქეზთა რაზმის აფხაზური ასეულისა, რომელიც ომის დროს ავსტრიის ფრონტზე იბრძოდა“. უჯუშ ემხას ჰყავს რეალური პროტოტიპი ნიკოლოზ ემხა, ანუ ემხვარი. ამ გვარის შესახებ ჩვენ ვრცლად ვისაუბრეთ კონსტანტინე გამსახურდიას გმირის – თარაშ ემხვარის დახასიათებისას. კონსტანტინეს რომანში გმირი ენგურში იღუპება, ლეო ქიაჩელის მოთხრობაში კი მას კლავენ და გვამს ზღვაში აგდებენ. მოთხრობის პროტოტიპსაც კლავენ. სამივე ემხვარი, თუ შეიძლება ასე ითქვას, იღუპება სხვადასხვანაირად, მაგრამ გმირულად და, რაც მთავარია, ორივე მწერალს სხვადასხვა ხედვა აქვს მათი „მომავლის“ შესახებ:

საუბრები ლიტერატურაზე

თარაშ ემხვარი მდინარეში იღუპება, რითაც მწერალი გვეუბნება, რომ მისი მარადისობაში გადასვლა არ გამორიცხავს „დაბრუნებას“ განახლებული სახით; უჯუშ ემხას კლავენ და მის გვამს ზღვაში აგდებენ. ზღვა, როგორც ვიცით, ბოროტ ძალთა სიმბოლოა: ზღვაში ჩანთქა იონა წინასწარმეტყველი ვეშაპმა, ზღვაში კარგავს ბოროტების სიმბოლო – დავარი თავის ძმიშვილს – ნესტან-დარეჯანს. *„წაიყვანეთ და დაკარგეთ, მუნ სადა ზღვისა ჭიპია, წმიდისა წყლისა ვერ ნახოს მყინვარი, ვერცა ლიპია“.*

ემხას სიკვდილამდე კი, საინტერესოდ და საოცარი სისწრაფით ვითარდება მოვლენები. *„სიცოცხლის გარდა ორი რამ განძი ჩამოჰყოლოდა, რომლებსაც სიცოცხლეზე უფრო მეტად აფასებდა და უფრთხილდებოდა. ეს იყო სიყრმიდანვე მისი საოცნებო ოფიცრის ეპოლეტები და ოფიცრისვე წმინდა გიორგის ორდენი.“* სწორედ ამ განძს შეეხება წასართმევად და შეურაცხყოფის მისაყენებლად ის ძალა, რომელიც, ცხადად მომავალი, უჯუშ ემხამ სიზმარ-ხილვაში ნახა: *„მე კი სწორედ ისინი მომეჩვენენ. თითქოს გემით მოვიდნენ. თითქოს...“*, მაგრამ ეს კოშმარი „თითქოს“ რომ არ იყო და სოხუმს ნამდვილად მოსდგომოდა ბოლშევიკების ხომალდი, ეს საყვირის უჩვეულო ხმამ ამცნოთ, რომელიც ისეთი *„მკვეთრი და ძლიერი იყო, რომ გეგონებოდათ დედამიწა ვერ დაიტევსო, – ოთახში შემოიჭრა, ფანჯრის მინები ააწკარუნა და გაბოლილ მძიმე ჰაერში დევური მოქნევისაგან აწივლებული მახვილივით შეერჭო“.* ამ პატარა მონაკვეთში მწერალმა რამდენიმე სიმბოლო გამოიყენა და ვფიქრობ არა შემთხვევით. უპირველეს ყოვლისა, პარადოქსია ის, რომ ბოლშევიკური სამხედრო კრეისერის შემოსვლას ქალაქის პორტში სოხუმელები „საყვირით“ გებულობენ. შემდეგ მწერალი ჰიპერბოლას მიმართავს – *„დედამიწა ვერ დაიტევსო“* – განსაკუთრებულად დიდი უბედურება რომ მოსდგომია ამ ერთი კრეისერის სახით საქართველოს შავი ზღვის ნაპირს, თითქოს ამის გადმოცემა სურსო. შემდეგ ისევ სიმბოლოს მიმართავს *„დევური მოქნევისაგან“* და გასაოცარი შედარებით ამთავრებს – *„აწივლებული მახვილივით“.* ყურადღებამისაქცევია ის ფაქტიც, თუ როგორ წარმოთქვამს უჯუშ ემხა კრეისერის სახელს: *„უცებ ტუჩები შეუცახცახდნენ... უხმო ჩაშიშინებით ჰაერში მოხაზეს: „შმიდტ“. „ჩაშიშინებით“* – წერს ავტორი. შიშინა ბგერა „შ“-ს გამეორებით თავისთავად იწვევს მკითხველში სისინა „ს“-ს ასოციაციას. შესაძლოა გადაჭარბებულად ვფიქრობ, მაგრამ რატომღაც მგონია, სწორედ უხსენებლის გამოჩენის ტოლფასია უჯუშ ემხასათვის ბოლშევიკების გამოჩენა. მით უმეტეს, რომ მწერალი იქვე კრეისერის სახელის შესახებ ამბობს: *„სისხლისფერი წარწერა“.*

„შმიდტის“ მეზღვაურების ნაპირზე გადმოსასხამად მიმავალ მოტორიან ნავში, სამსონ დავანაძისა და ნარიქ ეშბას გარდა, *„ხუთი მუშისაგან შემდგარი დელეგაცია, აფხაზეთში მცხოვრებ ეროვნებათა რიცხვის მიხედვით შერჩეული“,* იმყოფებოდა. დაკვირვების გარეშეც ნათელია მკითხველისათვის, რომ დამხვდური დელეგაციის წამყვანი პერსონები ქართველი და აფსუა ეროვნების ადამიანები არიან და, ამავდროულად, მწერალი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ *„აფხაზეთში მცხოვრებ ეროვნებათა რიცხვის მიხედვითაა შერჩეული“* დანარჩენი წევრები. რასაც პირველად დაინახავენ სოხუმელები კრეისერზე, ეს გახლავთ *„რკინისფერი პროფილი“.* მკითხველს, უნებლიედ, გალაკტიონის „რკინის საუკუნე“ გაგახსენდება. ამის შემდეგ *„შეუპოვრობის გამომხატველი“ „ქოსა სახე“* ჩნდება, რომელსაც *„წამოზნექილი გულმკერდი მთლიანად დატატუირებული ჰქონდა, კუნძივით სქელ და დაბალ კისრამდე... ბეჭედივით წრეშემოვლებული ნამგალი და ჩაქუჩი აჯდა, ერთმანეთზე გადაჭდობილი“.* ეს გახლდათ არტილერისტი ვასილ ხრიტანიუკი, იგივე ვასკა პირატი, რომელსაც *„მთელი ამ კუთხის სახელით, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია“,* ქალაქის თავი ამხანაგ კუზმასათვის სალამს გადასცემს. გემის უჩინარი კაპიტანი მკითხველში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს და ბოლოს ისიც, *„ძალიან უცნაური სახის ადამიანი გამოჩნდა, რომლის დანახვამ სოხუმელები მეტად გააოცა... კისერწაგრძელებულები ქვემოდან შესცქეროდნენ უფროსის სიდინჯით მათკენ მიმავალ* ***საკვირველებას.*** *ამათი გაოცების მიზეზი ის იყო, რომ ამ კაცის ერთ ტანზე ორ პირსახესა და სამ თვალს ხედავდნენ სრულიად გარკვეულად“.* ლადო ასათიანი რაფიელ ერისთავის შესახებ წერს: *„კარგი ოსტატი იყო ბატონი რაფიელი“,* იგივე შეიძლება ითქვას ლეო ქიაჩელის შესახებაც. ნამდვილად დიდი ოსტატობაა საჭირო იმისათვის, ამ საშინელების დასანახად რომ მოამზადო მკითხველი და მან ეს გენიალურად მოახერხა იმ წინასახის დახატვით, როცა *„რკინისფერი პროფილისა“* და *„ქოსა სახის“* შესახებ საუბრობდა. ამის შემდეგ იგი უკვე ბუნებრივად მიდის იმ პიკამდე, რომელსაც ორსახოვანი და *„ყოვლისმომცველი“* სამთვალა ადამიანი წარმოადგენს კუზმა მრისხანეს სახით (მეტსახელიც როგორ ზუსტად აქვს შერჩეული). მწერალმა ზუსტად გადმოგვცა თუ როგორ დაამახინჯა სოციალისტურმა რევოლუციამ *„სახე ყოვლისა ტანისა“,* როგორ გახადა იგი *„უგრძნობი კაცი“* და *„ქოსა სახედ“* როგორ აქცია. დიახ, ამ სამ მეზღვაურში ე.წ. *„ახალი ადამიანის“* სხვადასხვანაირად დეგრადირებული სახეა გადმოცემული. აი ვის, უფრო სწორად რას ეგებება მთელი სოხუმი წითელი დროშებითა და ზურნა-დუდუკით. მთელი ქალაქი მონუსხა ამ ბოროტებამ, მხოლოდ ერთი ადამიანის გარდა, ადამიანისა, რომლის *„ჯიშსა და ჯილაგს უკან დახევა არა სჩვევია“.* არც დაიხევს და გახდება ავტორი იმ ერთად-ერთი საბედისწერო გასროლისა, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა მომხდარიყო სოხუმში, მაგრამ მოხდა. თანამემამულეთაგან განსხვავებით, მარტოდ დარჩენილმა უჯუშ ემხამ, როდესაც მას *„უმალვე ჩამოსცილდნენ“* მეგობრები, უფლება არ მისცა ვასილ ხრიტანიუკს ეპოლეტების ჩამოგლეჯისა და *„განგმირული ვასილ ხრიტანიუკი მიწაზე პირაღმა გაიშხლართა უსულოდ“.* ემხამ მეორე მეზღვაურიც დაჭრა და მესამე ვიდრე გონს მოვიდოდა, *„უჯუშ ემხა მის წინ უკვე აღარ იდგა“.* მეხის გავარდნაზე უარესი რამ დაატყდა თავს სოხუმელებს. მიტინგის მონაწილეთა შესახებ ავტორი წერს: *„ყველამ იგრძნო, რომ რაღაც დიდი უბედურება დატრიალდა... მერე ბრბო შეიკუმშა, შექუჩდა... და დუქნებსა და სახლების კედლებს დამფრთხალი ფარასავით შეეფინა“.* მწერლის განწყობა შეშინებული და მხდალი მოქალაქეების მიმართ აშკარად იგრძნობა ამ მონაკვეთში. ხალხი მისთვის უყოჩოდ დარჩენილი ბრბოა, რომელიც *„დამფრთხალი ფარასავით“* დაიფანტება. სამწუხაროდ, ცხვრის ფარის ფსიქიკას ვერ გავცდით XX საუკუნის ბოლოსაც. დავანაძე და ეშბა *„ყაზახთა ოფიცრისა“* და *„გიორგის კავალერის“* ხსენებაზე მიხვდებიან , რომ *„უჯუშ ემხას დაუღუპავს“* ყველა და განაჩენიც სასწრაფოდ, ყოველგვარი ფიქრისა და განსჯის გარეშე გამოუტანეს: *„საკუთარი ხელით შევიპყრათ დამნაშავე და მივგვაროთ მოკლულის ამხანაგებს დამსახურებული სასჯელის მისაზღვავად“.* მაგრამ ერთი რამ დაავიწყდათ, უბრალო „დამნაშავესთან“ არ ჰქონდათ საქმე და მეტად გაჭირდებოდა მისი შეპყრობა. ამის შემდგომ მოთხრობაში მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ვასილ ხრიტანიუკის გვამს და დაჭრილ მეზღვაურს სოხუმის *„მრავალრიცხოვანი დელეგაცია“* გაჰყვა, *„რათა გემის უფროსისათვის ქალაქის უზომო მწუხარება გამოეცხადებინა და მოულოდნელად მომხდარი უბედური შემთხვევა სწორად განემარტა...“* დელეგაციას *„მხცოვანი თავადი ჩაჩბა“* მეთაურობდა. გემის კაპიტანმა ერთი საათის ვადა მისცა ქალაქის დელეგაციას დამნაშავის მოსაძებნად და დასაკავებლად, *„მხცოვანი თავადი ჩაჩბა“* მძევლად დაიტოვა. *„ერთი საათის ვადა ყველას ცეცხლივით შეეკიდა და შიგ ტვინში აუვარდა, უმწეობისა და სასოწარკვეთილების გმინვა გაისმა ირგვლივ“.*

„ლ. ქიაჩელს სრული სურათი აქვს დახატული როგორ დათანხმდა შიშით თავზარდაცემული ქალაქი ყოველგვარ დამცირებას. როგორ ცდილობდა იგი პირფერობითა და ლიქნით გადარჩენილიყო“. ახლა კი, იმ საბედისწერო გასროლის შემდეგ, ეს შიში კიდევ უფრო შემზარავი გახდა: *„სოხუმის მთელი მოსახლეობა დიდიან-პატარიანად იმ განაპირა უბნისკენ დაიძრა, სადაც ოფიცერ უჯუშ ემხას სახლ-კარი ეგულებოდათ“.* ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, *„განსაკუთრებული თავგამოდებით მოქალაქეთა მესაკუთრული ნაწილი მოქმედებდა. ამ ნაწილს რაჯდენ თორია ხელმძღვანელობდა.., რომელიც თოფითა და რევოლვერით შეიარაღებულიყო“.* როგორც ვხედავთ, *„ომის უმეცარ ვაჭარსაც“* კი იარაღი აუღია, მხოლოდ არა მტრის, არამედ მოძმის წინააღმდეგ. ეს მდგომარეობაც გამეორდა აფხაზეთში იმავე საუკუნის ბოლოს, მხოლოდ უფრო ფართო მასშტაბით, სამწუხაროდ. მიუხედავად იმისა, რომ *„სოხუმის არისტოკრატიას ცოტა განზე ეჭირა თავი“,* უჯუშ ემხას საკუთარი დეიდაშვილიც კი უღალატებს. უჯუშის ქვრივ დედას, რომელიც ღირსეულად შეხვდება ამ საშინელ განსაცდელს, *„ოდნავ შენაოჭებულ თეთრ სახეზე შიშის ფითრი დაფრქვეოდა და უჩინარი ცრემლით დანამულ დიდრონ თვალებში შეჩვეული თავდაჭერილობისა და დაჭიმული ნებისყოფის უკანასკნელი სიმტკიცე შემოეკრიბა“.* თორმეტი წლის დის დატყვევება საკმარისი არ აღმოჩნდება სოხუმელების დასამშვიდებლად და რაჯდენ თორიას მოწოდებაზე: *„უმალ ცეცხლი ჩვენი დამღუპველი ემხას სახლ-კარს, უმალ სიკვდილი მისი ოჯახის წევრებს! ათასმა ხმამ დაიგუგუნა:*

სიკვდილი, სიკვდილი ემხას!...“

ასეც მოხდა, როგორც აკაკი ბაქრაძე წერს: *„უჯუშ ემხა მიტოვებული, განწირული და იმედდაკარგული აღმოჩნდა. ერთად-ერთი კაცი, ვინც მისი გადარჩენისათვის იბრძვის, ჰაკი აძბაა, უჯუშის ძიძიშვილი, მაგრამ მარტო ჰაკი რას გახდება. შიშით არა მარტო ღირსება და თანაგრძნობის უნარი დაკარგეს, არამედ მატყუარებიც გახდნენ...“* მისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის მიუხედავად, უჯუშს *„ამხნევებენ“: „...შიში ნუ გაქვს: სიკვდილით არაფერს გაგიჭირვებთ“.*

უჯუშ ემხას სიკვდილის შიში არ ჰქონდა – *„მე და შიში ერთმანეთს არ ვიცნობთ“, „სიკვდილზე უფრო მწარე იყო უიმედობის გრძნობა“.* საზოგადოების ყველა ფენისაგან განწირული უჯუშ ემხა მხოლოდ ერთი კაცის სახელს იმეორებს: *„ჰაკი, ა, ჰაკი! სად ხარ ჰაკი?“* მაინც ვინ იყო ჰაკი აძბა? რომელსაც ყველაფერი შეეძლო გაეკეთებინა *„შეუვალი ბედისწერისა“* და საზოგადოებისაგან განწირული ძმისათვის? *„ის იყო აფხაზი გლეხი, რომელსაც მთელი აფხაზეთი იცნობდა, როგორც ემხას ძიძიშვილს... ნაკვთიანი, სწორად სხმული, მარდი და მოქნილი, როგორც გარეული შავი კატა“.* ჰაკის პატარა თვალები, *„რომლებიც საგნებს ისარივით ერჭობოდნენ...“, „...უსიტყვო თანაგრძნობას აჩვენებენ უჯუშს“* და სწრაფად მთებში გაქცევას გადაწყვეტენ, მაგრამ დაადგიანდებათ, *„ზღვის ნაპირიდან დაძრული ხალხის ტალღა უკვე მოსდებოდა ქუჩებს. ჰაკიმ დაინახა მისი აყრილი ქოჩორი“.* თოუხან მარშანისა და *„უჯუშის ორი მოგვარეთაგანის“* საშუალებით ემხა დედის, დისა და ბექირბი ჩაჩბას ამბავს შეიტყობს. უჯუში იმ ერთადერთ გადაწყვეტილებას ღებულობს, რომელიც ეკადრება მის გვარს და მოდგმას – *„მესმის, ძმებო ყველაფერი, დაფიქრებაც კი პატივს ამყრიდა თქვენს თვალში. საჭირო არ არის ზედმეტი სიტყვა. მზად ვარ გამოვცხადდე...“* ჰაკი აძბა, მოისმენს რა დეიდაშვილების საუბარს, მაშინვე ხვდება, რომ უჯუში თოუხან მარშანმაც განირა და ამ მნარე სიმართლეს მას პირში ეუბნება: *„შენ კი იგი სასიკვდილოდ გაგიმეტებია“.* ჰაკი ასეთ კრიტიკულ სიტუაციაშიც კი არ კარგავს სწორად განსჯის უნარს. მისთვის ნათელია, რომ ბექირბი ჩაჩბას გაცილებით უსაფრთხო მდგომარეობა აქვს ბოლშევიკების ხელში, ვიდრე ეს უჯუშ ემხას ექნება. იგი პირდაპირ ეუბნება ძიძიშვილს, რომ მის თავს სიკვდილს არ დაუთმობს, ჰაკი მამის ანდერძს – *„უჯუში შენი მზე არის... სიცოცხლე იმისთვის მომიცია, რომ იგი უჯუშს შესწირო“,* ღალატს არ აპირებს. *„ერთგულება ჰაკი აძბას პიროვნების თვისებაა. თორემ არც თოუხან მარშანი აღუზრდიათ ორგულების ქადაგებით, მასაც თავდადებისა და სიყვარულის იდეალებით ზრდიდნენ, მაგრამ რაკი მის პიროვნებაში არ იდო ერთგულების თვისება, უცბათ დათანხმდა უჯუშ ემხას საწინააღმდეგოდ ემოქმედნა...“*

„თავდადებისა და სიყვარულის იდეალებით“ აღზრდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც დაიკარგა და გაქრა არა მხოლოდ საქართველოს ამ კუთხეში, არამედ სრულიად საქართველოში. ეს უმთავრესი მიზეზია ამდენი ქართული მიწაწყლის დაკარგვისა. ერთგულების წყალობით გადაწყვეტს ჰაკი უჯუშის დანაშაული საკუთარ თავზე აიღოს. თავადებიც თანახმა არიან: *„ძიძიშვილი რომ არის, თავიც უნდა გაწიროს შენთვის, კარგად იქცევა, იცოდე, სიტყვა არ დასძრა“*; მაგრამ ემხა ზნეობრივად და სულიერად დაცემულ და გამყიდველ საზოგადოებას არ ემორჩილება. *იგი „უნებლიეთ და მოულოდნელად ამ საზოგადოებას დაუპირისპირდა“.* უჯუში გადაწყვეტს დანებდეს – *„აქ ვარ მეზღვაურების ნამდვილი მკვლელი და გნებდებით“.*

გასაოცარ თავგანწირვას იჩენს ჰაკი აძბა მაშინაც, როცა იგი უჯუშთან ერთად კრეისერის მეზღვაურების დაუზოგავი მუშტების მსხვერპლი აღმოჩნდება: *„დაიზილა და დაიბეგვა, თავპირი დაუსისხლიანდა. მაინც არ დაცხრა“.* მეზღვაურებს ვერ გაერკვიათ ვინ იყო ეს კაცი და როცა ზღვაში გადასაგდებად გააქანა ერთმა მეზღვაურმა, სწორედ მაშინ გაისმა კუზმა მრისხანეს ხმა – *„დადექ!“.* ეტყობა სამთვალა და ორსახიანი კაპიტანი მიხვდა, ვინც უნდა ყოფილიყო ჰაკი აძბასათვის უჯუშ ემხა და მოინდომა ბატონის ტყვეობიდან გაეთავისუფლებინა იგი: *„შენ ხარ მონა, აფხაზო, კრეისერ „შმიდტის“ სახელით განიჭებ თავისუფლებას, წადი და დაივიწყე შენი ბატონი“.* ჰაკისათვის შეუძლებელ რაღაცას რომ სთხოვდა, ეს *„მრისხანე კაცისათვის“* გაუგებარი იყო. ჰაკიმ კი თავისი გაიტანა და უჯუშთან ერთად გემზე დარჩენა მოახერხა.

სიუჟეტს მწერალი ამინდის აღწერით აგრძელებს: *„მშვიდი და წყნარი დღე ავდრიანმა ღამემ შეცვალა. ბნელში გახვეული ზღვა ახლა ისე ბობოქრობდა, და ღმუოდა, თითქოს მთელ ქვეყანას წარღვნით და დანგრევით ემუქრებაო.*

ზეცა არ ჩანდა.“ – ვფიქრობ, ბოლო ფრაზა ძალიან მნიშვნელოვანია; იმის გარდა, რომ ამ ღამით *„კაი ყმები“* უნდა ჩანთქას ამ ზღვამ და ასე საოცრად სწორედ ამიტომაცაა *„ბნელში გახვეული“,* ზეცის არ გამოჩენით აშკარად მიგვანიშნებს მწერალი, რომ ღმერთიც კი აღარ ერევა იმ საშინელ აქტში, რომელიც ცოტა ხანში უნდა აღსრულდეს *„რკინისა და ფოლადისაგან შეკრულ კრეისერზე“.* გემზე, მართალია, ერთი სოციალური ფენის წარმომადგენლები იყვნენ ყველანი, უჯუშის გარდა, მაგრამ თვისობრივად ისეთივე უცხო იყო კუზმასათვის *„აფხაზი გლეხი“,* როგორც *„აფხაზი თავადი“,* და პირიქით, ამიტომ *„გადაწყვიტა ამ იშვიათ ტიპს ახლოს გასცნობოდა“,* მას შეუძლებლად მიაჩნდა, რომ *„აფხაზი გლეხის შეგნებაში არ აღმოჩენილიყო სულ მცირე ნიადაგი მაინც ელემენტარული რევოლუციური იდეის შესათვისებლად“.* აი, თურმე რა სურდა *„მრისხანე კაპიტანს“*; მიუხედავად იმისა, რომ ჰაკი შეძლებისდაგვარად *„დაიახლოვა და გაათამამა“,* ხრიტანიუკის ცხედრის დაკრძალვისას, *„მეზღვაურთა წესისამებრ ზღვაში გადაგდებით კრძალავდნენ“,* ნაბრძანები ჰქონდა ხრიტანიუკის ცხედრისთვის *„თეთრგვარდიელი ბანდიტი გაეყოლებინათ“.*

მაინც რა საოცრად ხვდებიან *„კაი ყმები“* სიკვდილს, ეტყობა აშკარად ხედავენ *„ნათელი დღის კარს“* – *„ემხა თავაწეული მიაბიჯებდა... ეს იყო ნაღვლიანი ღიმილის ძლივს შესამჩნევი ციმციმი, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ დარდს გამოხატავდა, უნდო შეგნებით დაძლეულს“.* მან ნამდვილად სძლია შიშს, სიკვდილს და *„შეინარჩუნა ადამიანის ღირსება“.*

ემხას დახვრეტას შეასწრებს რა თვალს ჰაკი აძბა, საშინელი გოდება აღმოხდება: *„ვაჰაი, შენს ჰაკის, უჯუშ!.. კუზმაც კი შეზარა მისმა შესახედაობამ, სახის მუდამ უძრავი ნახევარიც კი მოუქცია და აუკანკალა“. „უგრძნობი კაცისათვის“, „უცნობია ადამიანის სულის მოძრაობის უსასრულო მრავალფეროვნება. მათ შორის ერთგულებით და ეროვნული ტრადიციებით გამოწვეული მოძრაობაც“.* დიახ, *„აფსუა აფხაზებისათვის“* ისეთივე ეროვნული გახდა ქართული ტრადიციები, როგორც *„ქართველი აფხაზებისათვის“.* ამას მომხვდური, მესამე ძალა, რა თქმა უნდა, ვერ გაიგებდა, ამიტომაც თავად *„კლასობრივი ეგოიზმის მონა“* ასეთ შეფასებას აძლევს ჰაკის ერთგულებისათვის თავგანწირვას – *„ეს მონა ადამიანად მაინც არ გამოდგებოდა...“*

ორიოდე სიტყვით მინდა შევეხო რეალურ პიროვნებას, სმელ ბადიას, რომლის პროტაგონისტიც გახლავთ ჰაკი აძბა. აკაკი ბაქრაძის აზრით, მწერალმა თავადსაც და ძიძიშვილსაც სტილიზაციის გამო შეუცვალა სახელები. მე, რა თქმა უნდა, არ შემიძლია ბატონ აკაკის არ დავეთანხმო, მაგრამ, ჩემი აზრით, მხოლოდ ეს არ უნდა ყოფილიყო მიზეზი. ბადია ქართული, მეგრული, გვარია. ემხა, უკვე ვთქვით, რომ იგივე ემხვარია. ლეო ქიაჩელმა აფსუური ფუძის გვარი ალბათ იმიტომ შეურჩია სმელ ბადიას, სურდა ხაზი გაესვა ქართველთა და აფსუათა ერთგულებით, სიყვარულით, ტრადიციების დაცვითა და პატივისცემით გაჯერებული ურთიერთობებისათვის, რომელიც მოსპო და გაანადგურა ჩრდილოეთიდან საბჭოეთის სახით შემოსულმა უცხო, მესამე ძალამ.

თამარ კობერიძე
ვლადიმირ კომაროვის სახელობის
199-ე საჯარო სკოლის მშობლიური ენისა და
ლიტერატურის პედაგოგი

გამოყენებული ლიტერატურა:
❖ *აკაკი ბაქრაძე – სკოლას – „მასალა და მოთხრობა“;*
❖ *სასკოლო ბიბლიოთეკა, ლეო ქიაჩელი, მოთხრობები, „ჰაკი აძბა“.*

ՈՒՐԻՆՏՈՒՆ ԿՈՆՍՈՒԼՏԱՑԻԱ

Իրավաբանի խորհրդատվություն

Ինչպես արդեն հայտարարվել է, 2020 թվականից կրեդիտ-միավորների կուտակման համակարգը կփոխարինվի «Ուսուցչի մասնագիտությունը կանոնակարգող կարգով»: Հետաքրքիր է, թե ինչ արտոնություններ և պարտավորություններ է նախատեսում այս նորմատիվ ակտն ուսուցիչների համար:

Համաձայն «Ուսուցչի մասնագիտությունը կանոնակարգող կարգի», կփոխվի մասնագիտություն մուտքը, պահպանումը և առաջընթացը:

Պետք է նշել, որ ուսուցիչների կողմից ստացված կրեդիտ-միավորները չեն չեղարկվի, սակայն, այլևս գոյություն չի ունենա ներքին մեխանիզմներով կրեդիտ-միավորների կուտակման համակարգը: Ինչպես հայտնի է, դպրոցում գործում էր ներքին գնահատման խումբ, որը գնահատում էր ուսուցչի կողմից իրականացված գործունեությունը և ըստ դրա ուսուցչին շնորհում կրեդիտ-միավորներ: Նման համակարգ այլևս գոյություն չի ունենա: Ըստ նոր համակարգի՝ ուսուցչին հնարավորություն կտրվի կրեդիտ-միավորներ կուտակել արտաքին մեխանիզմների միջոցով: Սա նշանակում է, որ գործող ուսուցիչները, ովքեր անցել են բոլոր պարտադիր ակտիվությունները. հանձնել են երկու քննությունն էլ, անցել են 2 դասի ներքին դիտարկում, կուտակել են 15 կրեդիտ-միավոր, հինգ կրեդիտանոց թրեյնինգային ծրագիրը հաջող անցնելու դեպքում կկարողանան լրացնել կրեդիտ-միավորները մինչև 19 կրեդիտ և ստանալ ավագ ուսուցչի կարգավիճակ, եթե հաջողությամբ ավարտեն հնգօրյա թրեյնինգային դասընթացի ծրագիրը: Եթե ուսուցիչը չի հանձնել քննությունը, ապա նա կարող է անցնել թրեյնինգ-մոդուլներ, զուգահեռ հանձնել քննությունը և հավաքել 19 կրեդիտ-միավոր: Ավել ճշգրտության համար պարզաբանում ենք, որ արտաքին մեխանիզմներն են թրեյնինգները և քննությունը:

Բոլոր գործող ուսուցիչները կկարողանա՞ն գրանցվել թրեյնինգին: Արդյոք գրացման տեղերը սահմանափակ չե՞ն լինի: Ի՞նչ է սպասվում այն ուսուցիչներին, ովքեր տարբեր ակտիվություններով 19 կամ ավելի կրեդիտ-միավոր են կուտակել, սակայն իրավասությունները (թեկուզ որևէ մեկը) չեն հավաստել:

Թրեյնինգին կկարողանան գրանցվել բոլոր գործող ուսուցիչները, ներառյալ նրանք, ովքեր դեռ չեն հանձնել քննությունը: Ինչ վերաբերում է ուսուցիչներին, ովքեր 19 և ավելի կրեդիտ-միավոր են կուտակել, բայց չեն հավաստել իրավասությունները ինչպես մասնագիտական ունակությունների, այնպես էլ առարկայական ոլորտներում, պարզաբանում ենք, որ երկու իրավասություններն էլ պարտադիր նախապայման են ավագ ուսուցչի կարգավիճակ ստանալու համար: Հինգ կրեդիտանոց թրեյնինգի համար գրանցումը կսկսվի փետրվարի 15-ից: Ուսուցիչները կկարողանան 3 կրեդիտ ստանալ առարկայի իրավասության թրեյնինգից և 2 կրեդիտ՝ մասնագիտական ունակությունների թրեյնինգից: Ուսուցիչները, թրեյնինգ-մոդուլները հաջողությամբ անցնելու դեպքում, հնարավորություն կունենան կուտակել 1-ից մինչև 5 կրեդիտ: Ուսուցիչներն իրենք կկարողանան ընտրել իրենց ցանկալի և անհրաժեշտ կրեդիտ-միավորին համապատասխան թրեյնինգային մոդուլը:

Կպահպանվի՞ արդյոք քննություններին 1, 4, 7 կրեդիտ ստանալու հնարավորությունը:

Ինչպես հայտնի է, գործող ուսուցիչների համար ամառային քննություններին 1, 4 և 7 կրեդիտ ստանալուս հնարավորությունը կրկին մնում է ուժի մեջ:

Գործող և մասնագիտություն մուտք գործող մանկավարժների համար հատկացված իրավասությունը հավաստելու քննության մեջ չկա՞ արդյոք որևէ նորամուծություն, և ե՞րբ կանցկացվի այն:

Ավագ ուսուցիչների կարգավիճակի շնորհման քննությունը կանցկացվի ամռանը: Չևաչափը և բովանդակությունը նույնն են լինելու, փոփոխությունը վերաբերում է միայն քննության միավորի պահպանմանը: Նախկին սխեմայի համաձայն, եթե ուսուցիչը նույն առարկայից երկու անգամ էր ներկայանում քննության, նախորդ արդյունքը չեղարկվում էր: Նոր կանոնակարգի համաձայն, եթե ուսուցիչը երկրորդ անգամ է ներկայանում քննության, ապա նախորդ քննության արդյունքը չի կորցնի: Նրան կտրվի հնարավորություն՝ ստացած արդյունքներից ընտրելու իր համար լավագույն արդյունքը:

2020 թվականին կանցկացվե՞ն արդյոք քննություններ առաջատար և մենտոր ուսուցչի կարգավիճակ ստանալու համար:

Քննությունը, որը նախատեսված կլինի առաջատար և մենտոր ուսուցչի կարգավիճակ ստանալու համար, այս տարի չի հասցվի անցկացնել, քանի որ պետք է փոխվի Ուսուցչի մասնագիտական չափորոշիչը: Նոր չափորոշչի նախագիծն արդեն մշակվել է և քննարկման փուլում է:

Ի՞նչ բացառություն է սահմանում «Ուսուցչի մասնագիտությունը կանոնակարգող կարգը» ավագ ուսուցիչներ համար:

Այս տարի այն ավագ ուսուցիչների համար, ովքեր ցանկանում են ձեռք բերել առաջատար ուսուցչի կարգավիճակ, թույլ են տրված մի շարք արտոնություններ: Այն ավագ ուսուցիչները, ովքեր կուտակել են 15 կրեդիտ-միավոր, այդ թվում պարտադիր ակտիվությունները լրիվ իրականացրել են (2 մոդելային դաս և մանկավարժական պրակտիկայի հետազոտություն), և բոլորը հաջողությամբ հավաստվել են, բացառության կարգով, սեպտեմբերից մինչև դեկտեմբեր ընկած ժամանակահատվածում հնարավորություն են ստանում անցնել արտաքին դիտարկում, ինչի արդյունքում նրանց կշնորհվի առաջատար ուսուցչի կարգավիճակ: Այն ավագ ուսուցիչները, ում հետազոտությունը հավանության չի արժանացել, կարող են սկսել աշխատել թերությունները շտկելու վրա և, հավանաբար, ապրիլ ամսից կկարողանան վերբեռնել հետազոտությունները: Ում հետազոտությունը դրական կգնահատվի, նա սեպտեմբերից մինչև դեկտեմբեր կկարողանա գրանցվել արտաքին դիտարկումների, իսկ մինչև 2020 թվականի ավարտը նրանց առաջատար ուսուցչի կարգավիճակ շնորհելու գործընթացը կավարտվի: Իսկ այն ուսուցիչները, ովքեր այս տարի են ստացել ավագ ուսուցչի կարգավիճակ, նրանք իրենց կարգավիճակը պետք է փոխեն նոր կանոնակարգերով:

Ովքե՞ր են ուսուցչի հայցորդ գրանցելու համար իրավազոր անձինք:

Վրաստանի կրթության, գիտության, մշակույթի և սպորտի նախարարի հրամանով հաստատվել են ուսուցչի հայցորդի գրանցման ընթացակարգերը և ուսուցչի հայցորդության ժամանակահատվածն անցնելու կարգը:

Հրամանում խոսվում է նաև այն անձանց մասին, ովքեր իրավասու են գրանցվելու Ուսուցչի հայցորդի ծրագրի համար: Ինչպես ասված է հրամանում, ուսուցչի հայցորդի գրանցման համար իրավազոր անձինք են.

1. Մինչև 2023 թվականը ուսուցչի հայցորդ կարող է լինել ցանկացած անձ, ով ունի առնվազն բակալավրի կամ դրա հետ հավասարեցված ակադեմիական աստիճան, և նրանից չի պահանջվում Ազգային ուսումնական պլանի համապատասխան առարկայի/առարկայական խմբի ակադեմիական աստիճան ունենալ, ինչպես նաև՝ ռազմական / սպորտային մասնագիտական կրթություն ունեցող անձ:
2. Սույն հոդվածի 1-ին կետով նախատեսված անձինք պարտավոր են, մինչև հանրակրթական հաստատությունում որպես հայցորդ աշխատանքի ընդունվելը, հանձնել այն առարկայի քննությունը, որը նրանք ցանկանում են դասավանդել հանրակրթական հաստատությունում:
3. Ուսուցչի հայցորդ է համարվում նաև այն անձը, ով 2018-2019 ուսումնական տարվա սկզբի համար դասավանդում էր հանրակրթական հաստատությունում և չէր ներգրավված Ուսուցիչների մասնագիտական զարգացման և կարիերային առաջընթացի սխեմայի մեջ:

Ի՞նչ է ներառում Ուսուցչի հայցորդի ծրագիրը:

«Ուսուցչի հայցորդների գրանցման և ուսուցչի հայցորդության ժամանակահատվածն անցնելու կարգի և ուսուցչի հայցորդության ժամանակահատվածն անցնելը հավաստող փաստաթղթի նմուշը և հատկացման կարգը հաստատելու մասին» հրամանի համաձայն, Ուսուցչի հայցորդության ծրագիրը ներառում է երկու հիմնական ուղղություն, դրանք են. ակադեմիական դասընթացը և մանկավարժական պրակտիկայի դասընթացը, որը նախատեսում է ինչպես հայցորդի տեսական գիտելիքի խորացում, այնպես էլ գործնական գիտելիքի ստացում և անցում հանրակրթական հաստատությունում:

Ինչպե՞ս կգնահատվի հայցորդի անցած դասընթացը:

Ուսուցչի հայցորդի կողմից, Ուսուցչի հայցորդության ծրագրի մանկավարժական պրակտիկայի դասընթացն ավարտելուց հետո, դպրոցի տնօրենը գնահատում է Ուսուցչի մասնագիտական թղթապանակում տեղ գտած փաստաթղթերը և որոշում կայացնում ուսուցչի հայցորդի կողմից մանկավարժական պրակտիկայի դասընթացն անցնելը դրական կամ բացասական գնահատելու մասին և գրավոր դիմում է Կենտրոնին: Ուսուցչի հայցորդության ծրագրի ակադեմիական դասընթացի գնահատումն իրականացնում է Կենտրոնը, իսկ մանկավարժական դասընթացի գնահատումը՝ հանրակրթական հաստատությունը: Ուսուցչի հայցորդի կողմից Ուսուցչի հայցորդության ծրագիրը հաջողությամբ անցած է համարվում, եթե ուսուցչի հայցորդը ակադեմիական և մանկավարժական պրակտիկայի դասընթացից դրական գնահատվի:

Հայցորդության ծրագիրն անցնելու ժամանակահատվածում վարձատրություն լինելո՞ւ է, և ո՞րն է լինելու նրանց գործունեությունը այս ժամանակահատվածում:

Իհարկե, Հայցորդության ծրագրի ժամանակահատվածը վճարովի է, քանի որ ուսուցիչները սովորաբար այս ժամանակ դասավանդում են առարկան և, զուգահեռաբար, Հայցորդության ծրագրում անցնում են ուսուցչի հայցորդության դասընթաց: Այս ժամանակահատվածում նրանց աշխատավարձը հավասարվում է գործող ուսուցչի աշխատավարձին:

Ինչո՞ւ հավելավճար լրիվ չի տրվում ավագ, առաջատար և մենտոր ուսուցիչներին այն դեպքում, երբ դպրոցում համապատասխան առարկայական խմբի մեջ մտնող առարկայի/առարկաների համար նախատեսված դասաժամերի քանակը պակաս է այս հավելավճարը ամբողջ քանակով ստանալու համար անհրաժեշտ դասաժամերի քանակից:

Կրթության, գիտության, մշակույթի և սպորտի նախարարի 126 / Ն հրամանի համաձայն, նման դեպքում միայն օտար լեզվի ուսուցիչներին է տրվում կարգավիճակի լրիվ հավելավճար:

Վրաստանի մանկավարժների և գիտնականների ազատ արհմիությունը համարում է, որ վերը նշված նորմը խտրական է մյուս առարկաների ուսուցիչների նկատմամբ: Նման մոտեցումները բացասաբար են ազդում ուսուցիչների մոտիվացիայի և դասավանդման որակի վրա, ինչպես նաև կասկածներ է հարուցում այլ առարկաների արդիականության և հավասար կարևորության վերաբերյալ:

Այս խնդիրը լուծելու համար 2016 թվականի հուլիսին Մանկավարժների և գիտնականների ազատ արհմիությունը նախաձեռնությամբ դիմեց Կրթության նախարարին և պահանջեց, որ Օրենքում փոփոխություններ կատարվեն: Կրթության նախարարը հարցը դրական լուծեց, և Կրթության նախարարությունում մշակվեց նախագիծ Կրթության և գիտության նախարարի #126 / Ն հրամանում փոփոխություններ կատարելու մասին. «Եթե դպրոցում համապատասխան առարկայական խմբի մեջ մտնող առարկայի/առարկաների համար նախատեսված դասաժամերի թիվը պակաս է հավելավճարը ամբողջ քանակով ստանալու համար անհրաժեշտ դասաժամերի քանակից, ուսուցչի հավելավճարը պետք է տրվի ամբողջությամբ»: Նախարարների փոփոխության պատճառով որոշման ընդունումը ժամանակի մեջ երկարաձգվեց, և այս հարցի լուծումը կանգ առավ: Մենք բազմիցս հիշեցրել ենք նախարարներին և պահանջել համապատասխան նորմատիվ ակտի փոփոխում: Վերոնշյալ խնդրի հետ կապված՝ մեզ հաճախ են դիմում Բնական գիտությունների և Հասարակական գիտությունների առարկայի ուսուցիչները, ովքեր ունեն արդար բողոք և մտահոգություն:

Հուսով ենք, որ մոտ ապագայում խնդիրը վերջապես լուծվելու է, ինչի համար Վրաստանի գիտնականների և մանկավարժների ազատ արհմիությունը ջանքեր չի խնայի:

Անանո Փանչուլիձե, Գիորգի Նանոբաշվիլի
Վրաստանի մանկավարժների և գիտնականների արհմիության իրավաբաններ

Թարգմանությունը՝ Զոյա Մխիթարյանի

კონკურსი

პოსტერებად ქცეული აკადემიური კეთილსინდისიერება

ლალი ჯელაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პლაგიატის შესახებ სტუდენტური კონკურსის გამარჯვებულები გამოვლინდნენ. პლაგიატის შესახებ სტუდენტური პოსტერების კონკურსი მიმდინარეობდა პროექტის „აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისთვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (INTEGRITY)“ ფარგლებში. საპრიზო პირველი-მესამე ადგილები და ილიას უნივერსიტეტის მიერ დაწესებული ფულადი ჯილდოები თავისუფალი და ილიას უნივერსიტეტების სტუდენტებმა გაინაწილეს.

I ადგილი – **ლაშა კოტორაშვილი**, თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტი;

II ადგილი – **თაია ბუაჩიძე**, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი;

III ადგილი – **სალომე მერებაშვილი**, თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტი.

პროექტი დაფინანსებულია „ერასმუს პლუსის“ ფარგლებში, ევროკავშირის მიერ და მისი განხორციელება უნივერსიტეტმა 2018 წელს დაიწყო. პროექტის ფარგლებში 70 000-ზე მეტი ნაშრომი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაში უკვე აიტვირთა. *„სტუდენტებისთვის, ახალგაზრდა მეცნიერებისთვის უმნიშვნელოვანესია, რომ რაღაცნაირად მივეჩვიოთ და ინსტიტუციურ კულტურად ვაქციოთ ეს ყველაფერი. თავისთავად, ეს სადამსჯელო ღონისძიება არ არის, უფრო პრევენციაზეა მიმართული. აბსოლუტურად ყველა სალექციო კურსში იქნა ჩაშენებული ეს ნაწილი და პირველ ლექციასაც სწორედ აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე საუბრით ვიწყებთ. ერთ-ერთი შემაჯამებელი, რაც ილიაუნიმ დაგეგმა ამ პროექტში, იყო სტუდენტური კონკურსი“*, - განაცხადა ილიაუნის რექტორის მოადგილემ, **ნინო დობორჯგინიძემ**.

პროექტი, რომლის კოორდინატორიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტია, თორმეტ ქართულ უმაღლეს სასწავლებელთან, წამყვან უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სამთავრობო სტრუქტურებთან თანამშრომლობით ხორციელდება.

საქართველოში, როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, პლაგიატის პრობლემა საკმაოდ სერიოზულად დგას. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭიროა კომპლექსური მიდგომა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს პლაგიატის შემთხვევების პრევენციას, დეტექციასა და შესაბამის რეაგირებას. ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ცნობიერების ამაღლებას ყველა დაინტერესებულ პირს შორის, მათ შორის პლაგიატის რაობისა და სახეების/ფორმების შესახებ. კონკურსის ორგანიზატორების აზრით, საკომუნიკაციო მესიჯის შინაარსის მქონე პოსტერი, დაინტერესებულ მხარეებში აამაღლებს ცნობიერებას პლაგიატთან დაკავშირებით და ხელს შეუწყობს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას.

„ერასმუს პლუსის“ ეროვნული ფონდის კოორდინატორი **ლიკა ღლონტი** კი ამბობს, რომ პროექტის მიზანი საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა-სწავლებისა და შეფასების ხარისხის განვითარებაა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით: *„ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც „ერასმუს პლუსის“ დაფინანსებით ხორციელდება საქართველოში. თავისი თემატიკიდან და მასშტაბიდან გამომდინარე, მსგავსი კონკურსი, პროექტის ფარგლებში, არ ჩატარებულა. მიხარია და ამაყი ვარ, რომ ამდენი სტუდენტი ჩაერთო“.*

ევროკავშირის მიერ „ერასმუს პლუსის“ ინსტიტუციური განვითარების 2017 წლის საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინასებული პროექტის INTEGRITY მთავარი მიზანია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა-სწავლებისა და შეფასების ხარისხის განვითარება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით. პროექტი მიზნად ისახავს ისეთი პოლიტიკისა და მექანიზმების შემუშავებას, რომლებიც ხელს შეუწყობს პლაგიატის შემთხვევების გამოვლენას, პრევენციასა და აღმოფხვრას ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.







სასკოლო აქტივობა

აქ გამარჯვების დროშა ფრიალებს!

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის მიერ ორგანიზებული ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ მერვე სეზონის ფინალურმა შეხვედრამ მოლოდინს გადააჭარბა, სიტყვით ძნელია და კალამიც უძლურია გადმოსცე ის ემოცია, რომელიც დარბაზში სუფევდა 2020 წლის 31 იანვარს.

მერვე სეზონის ინტელექტუალური თამაში სამ ეტაპად წარიმართა, სეზონის დასკვნით ტურში, 2019 წლის მოაზროვნის ტიტულის მოსაპოვებლად, ერთმანეთის პირისპირ სათამაშო მაგიდასთან ისხდნენ: **მარი კარტაშევას (კესო მენაბდიშვილი, საბა ბოკუჩავა, დათა ნოზაძე, ნიკა მანუკოვი, ანა-მარია ბარამიძე, ანა ჩოხელი)**, **ლაშა ბერიანიძის (გიგა ქერდიკაშვილი, დათო მელაშვილი, მარი ხეცაძე, ავთო სილაგაძე, გიორგი ყარაშვილი, მარიამ ბიბიჩაძე)** და **ლუკა ქორიძის (მარიამ მოსიავა, ნინი ზარანდია, ნია ბასარია, საბა მარღიშვილი, ნინი ხუციძე, ლუკა სხირტლაძე)** გუნდების მოაზროვნეები.

ფინალურ შეხვედრას უძღვებოდნენ წამყვანები – **ლიზი წულუკიანი**, **ლუკა ფერაძე** და თანაწამყვანები – **ნინი მოსიავა**, **ქეთი ჩიტაძე**, **ნინი რთველაძე** და **გვანცა გიგაური**.

ორიგინალური იყო თამაშის გახსნა **ნიკა ვადაჭკორიას** მიერ წაკითხული ლექსით „მრავალჟამიერ გუგუნებდეს ხმა“. თამაშის ორიგინალურობა მერვე სეზონში იმით გამოიხატა, რომ ფინალურმა ტურმა ვერ შესძლო გამარჯვებულის გამოვლენა. ძირითადი კითხვები ჩაანაცვლა დამატებითმა კითხვებმა, მაგრამ იმდენად დიდი იყო ცოდნის მაქსიმალურად გამოვლენის ჟინი, რომ დარბაზში მართლაც მტკვარიც და არაგვიც გუგუნებდა, მთამაც და ტყემაც იმღერა და საბოლოოდ, ორივე გუნდისთვის, გამარჯვების სიმღერაც შექმნა.

საპატიო დერეფანი ამაყად გაიარეს ლუკა ქორიძისა და ლაშა ბერიანიძის გუნდებმა.

ინტელექტუალებისათვის კითხვები შეადგინეს პედაგოგებმა: **ნონა კაპანაძემ**, **ნინო მოლაშხიამ**, **მაია ძმანაშვილმა** და **ნინო ხუდიაშვილმა**, ხოლო სტუმრის სტატუსით, საინტერესო კითხვით, მოაზროვნეების წინაშე წარდგა დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში – **ქეთევან ხაბულიანი**.

2019 წლის ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ მაგისტრი გახდა – **ლუკა ქორიძე**. ფინალური ტური მუსიკალური ნომრით გაალამაზეს მოსწავლეებმა: **ლიკა მახარაშვილმა**, **ლექსო ჩოხელმა** და **ანდრია წერეთელმა**.

„ტროპიკული პაუზა“, ულამაზესი ტორტი, „საპატიო დერეფანი“, პრიზები, დაჯილდოებები თან ახლდა ფინალურ ტურს.

მადლობა სკოლის დირექტორს, ქალბატონ **გულიკო კვიციანს** და ფინანსურ დირექტორს, ქალბატონ **ინგა ამირანაშვილს** მაქსიმალური თანადგომისთვის.

ნინო მოლაშხია
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის თავმჯდომარე

გამოცდილება

მშობელი – მოტივაციის ამაღლების საუკეთესო საშუალება

ბავშვის აღზრდა, მის განათლებასა და განვითარებაზე ზრუნვა ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო საქმეა. ბავშვის აღზრდას სამი ფაქტორი განაპირობებს: სკოლა, ოჯახი და საზოგადოება. მშობელი შვილის სასკოლო ცხოვრებაში და აკადემიურ მიღწევებში ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. მოსწავლეებს, რომელთა მშობლები აქტიურად არიან ჩართული მათ სასკოლო ცხოვრებაში, ნაკლები ქცევითი და ემოციური პრობლემები აღენიშნებათ. გარდა ამისა, მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში მოტივაციის ამაღლების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. მოსწავლეებს განსაკუთრებით იზიდავს გაკვეთილები მშობელთა ჩართულობით, უფრო ხალისიანები, აქტიურები და მოტივირებულები არიან. თუკი საგაკვეთილო პროცესის დროს აქტივობები გათვლილი იქნება, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მშობლებისთვისაც, მაღალი იქნება მოსწავლეთა ჩართულობა, მოტივაცია და ინტერესი. მშობლები კი, დააკვირდებიან თანამედროვე გაკვეთილის სტრუქტურას, გაეცნობიან სწავლების თანამედროვე მეთოდებს, მიდგომებსა და ხერხებს, გაიაზრებენ, რა მიზნები და ამოცანები აქვს თანამედროვე განათლების სისტემას, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს მათ, დაეხმარონ შვილებს გაკვეთილების მომზადებისას.

მინდა, შემოგთავაზოთ ბუნების გაკვეთილის გეგმა, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართული მოსწავლეები და მათი მშობლები. როცა ბუნებაში შევისწავლეთ გალაქტიკა, კოსმოსი, მზე, მთვარე და ციური სხეულები, უზომო იყო ბავშვების დაინტერესება, მეტი გაეგოთ ამ საკითხებზე. კლასი გაიყო ჯგუფებად: „კოსმოსი“, „მზე“, „დედამიწა“, „მთვარე“. მშობლები დაეხმარნენ შვილებს, მოემზადებინათ პოსტერები და პრეზენტაციები. მოსწავლეთა პრეზენტაცია სახელმძღვანელოში მოცემულ მასალას მოიცავდა, მშობლები კი მათ ავსებდნენ მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით მოპოვებული ინფორმაციით, პასუხობდნენ კითხვებს, ავსებდნენ კროსვორდებს.

შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა, მშობლები და შვილები დიდი მონდომებით მუშაობდნენ და გულშემატკივრობდნენ ერთმანეთს. მიმაჩნია, რომ ასე დაგეგმილი გაკვეთილები ხელს შეუწყობს როგორც აკადემიური მოსწრების ამაღლებას, ასევე მშობლების ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში, რაც ჩვენი ეროვნული გეგმის მთავარი პრიორიტეტია.



გაკვეთილის თემა: „გალაქტიკა“ (კოსმოსი, მზე, მთვარე, დედამიწა) – შეჯამება.

გაკვეთილის მიზანი:

- შესწავლილი მასალის შეჯამება, გამტკიცება, პრეზენტაცია მშობელთა ჩართულობით.
- მშობელთა ჩართულობით მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება.
- მიღებული ცოდნის გამოყენება პრაქტიკული სამუშაოს შესრულების დროს.

№	აქტივობის მიზანი და აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები	სასწავლო რესურსები	დრო
1	მასწავლებელი, კლასში შესვლისას, მიესალმება მოსწავლეებს და სთხოვს მორიგეს, შეავსოს „დღის მესიჯი“. მასწავლებელი დაფაზე წინასწარ ამზადებს „დღის მესიჯის“ ქარგას, რომელშიც გამოტოვებულია სიტყვები/ფრაზები. მოსწავლე, გაკვეთილის დასაწყისში, შეავსებს ტექსტში გამოტოვებულ ადგილებს. მოსწავლეები დაასახელებენ რა რიცხვია დღეს, რა დღეა, რომელი გაკვეთილი ტარდება ახლა, როგორია ჩვენი განწყობა, რა უნარებია საჭირო გაკვეთილის ჩასატარებლად, რამდენი მოსწავლე ესწრება გაკვეთილს.	„დღის მესიჯი“ შეკითხვების დასმა	საერთო საკლასო	დიდფორმატიან ქაღალდზე დაწერილი ტექსტი/დაფა, ცარცი, ფანქრები/ ფლომასტერები, ფურცლები	2წთ
2	გაკვეთილის თემის, მიზნისა და შეფასების პრინციპების გაცნობა; მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემასა და მიზანს; თუ რა მეთოდებს და რესურსებს გამოიყენებს მიზნის მისაღწევად; რა შედეგს ელის გაკვეთილის ბოლოს; აქტივობებს და მოსწავლის შეფასების რუბრიკას, შეფასების ფორმებს.	ვერბალური ახსნა	საერთო საკლასო	ფლიფჩარტზე გაკვეთილის თემა, მიზნები და შეფასების რუბრიკა კედელზე გაკრული ქცევის წესები	2წთ
3	**აქტივობა 1.** **გონებრივი იერიში:** • რა არის ბუნება? • როგორი შეიძლება იყოს ბუნება? • რა მიეკუთვნება ცოცხალ ბუნებას? • რით განსხვავდება ცოცხალი ბუნება არაცოცხალისგან? • რომელ პლანეტაზე ვცხოვრობთ? • როგორი ფერის ჩანს იგი კოსმოსიდან? • რა სამი ძირითადი ფაქტორია საჭირო იმისათვის, რომ დედამიწაზე იყოს სიცოცხლე?	კითხვა-პასუხი	საერთო საკლასო	დაფა, ცარცი, რვეული	3წთ
4	**აქტივობა 2.** კლასი დაყოფილია ოთხ ჯგუფად: „კოსმოსი“, „მზე“, „დედამიწა“ და „მთვარე“. მოსწავლეებს მომზადებული აქვთ საპრეზენტაციო მასალა, სახელმძღვანელოს გამოყენებით. მშობლებმა კი, უნდა წარმოადგინონ მასალა კლასგარეშე ლიტერატურიდან, ოღონდ გაითვალისწინონ მოსწავლეების ასაკი, მასალა გასაგები უნდა იყოს მათთვის. ჯგუფები რიგ-რიგობით აკეთებენ პრეზენტაციას, მასწავლებელი კი აფასებს ჯგუფის პრეზენტაციის უნარს (თითო ჯგუფს პრეზენტაციისთვის ეძლევა 4-5 წუთი).	პრეზენტაცია	ჯგუფური	ბარათები, რვეული, თაბახის ფურცლები, მარკერი	20-22 წთ
5	**აქტივობა 3.** საკითხების უკეთ გააზრებისა და საჭიროებისამებრ მისი გამოყენების მიზნით, მოსწავლეები ავსებენ კროსვორდებს, რომელთა შევსებაც ითხოვს საკითხების დეტალურ ცოდნას. კროსვორდების პირველი ასოებით გუნდების სახელები მიიღება.	პრაქტიკული მეთოდი	ჯგუფური	დამზადებული კროსვორდები, კალმები, მარკერები	5-6წთ
6	**აქტივობა 4.** თითო კითხვა გუნდს.	კითხვა-პასუხი	ჯგუფური	ბარათები, რომელზედაც წერია კითხვები, კალმები	4-6წთ
7	**გაკვეთილის შეჯამება/შეფასება** გაკვეთილის შესაჯამებლად მასწავლებელი სვამს შეკითხვებს და ახსენებს მოსწავლეებს, თუ რა ისწავლეს დღეს, როგორ იმუშავეს, რა გაუჭირდათ, რამ გაახალისათ? აფასებს მოსწავლეებს, აძლევს მათ განმავითარებელ შეფასებას, კრიტერიუმებზე დაყრდნობით. **საშინაო დავალება:** დახატეთ ვარსკვლავებიანი ცა, ბრჭყვიალა ვარსკვლავი, რომელსაც სახელს დაარქმევთ და ჩაიფიქრეთ სურვილი!	ვერბალური	საერთო საკლასო		3-4წთ

შეფასების რუბრიკა

რას ვაფასებთ?	„კოსმოსი“	„მზე“	„დედამიწა“	„მთვარე“
პრეზენტაციის უნარი				
მშობელთა ჩართულობა				
თანამშრომლობა				
ქცევის მართვა ჯგუფში				

(კარგი, დამაკმაყოფილებელი, საჭიროა მუშაობა)

ჯგუფი „მთვარე“

1. მ	
2. თ	
3. ვ	
4. ა	
5. რ	
6. ე	

1. მზის სისტემის პირველი პლანეტა .....
2. მზის სხივებით მიწა, წყალი და ჰაერი .....
3. მზე არის .....
4. ბუნება შეიძლება იყოს ცოცხალი და .....
5. კოსმოსში მიფრინავენ კოსმოსური ხომალდით იგივე .....
6. რამდენი თანამგზავრი ჰყავს დედამიწას? .....

ჯგუფი „ვარსკვლავი“

1. ვ	
2. ა	
3. რ	
4. ს	
5. კ	
6. ვ	
7. ლ	
8. ა	
9. ვ	
10. ი	

1. ცაზე მილიონობით .....
2. მზე დედამიწას ათბობს და .....
3. კოსმოსური ხომალდი, ანუ .....
4. მზეს აქვს სითბო და .....
5. სამყაროს მეორენაირად ..... ჰქვია.
6. ვარსკვლავებს ღამით .....
7. კოსმოსიდან დედამიწა ჩანს .....
8. მზე წყალს, ჰაერს და ხმელეთს .....
9. მზე ერთადერთი ვარსკვლავია, რომელსაც დღისით .....
10. მთვარე მზის სინათლეს .....

ჯგუფი „დედამიწა“

1. დ	
2. ე	
3. დ	
4. ა	
5. მ	
6. ი	
7. წ	
8. ა	

1. ერთადერთი „ცოცხალი“ პლანეტა .....
2. დედამიწას რამდენი ბუნებრივი თანამგზავრი ჰყავს? .....
3. რა მოხდება, მზე რომ ჩაქრეს? .....
4. მზე მიწას, წყალს და ჰაერს .....
5. მზის სისტემის პლანეტა .....
6. მთვარე მზის სინათლეს .....
7. დროის ყველაზე პატარა საზომი ერთეული .....
8. მზე დედამიწას ათბობს და .....

ჯგუფი „კოსმოსი“

1. კ	
2. ო	
3. ს	
4. მ	
5. ო	
6. ს	
7. ი	

1. რა ჩნდება მთვარეზე უზარმაზარი ლოდების დაჯახებით? .....
2. კრატერი, ანუ დიდი .....
3. რით ვრცელდება მზის სინათლე? .....
4. დედამიწის ბუნებრივი თანამგზავრი .....
5. რამდენი სახის ბუნება ვიცით? .....
6. მზის სისტემის პლანეტა .....
7. მთვარე მზის სხივებს .....

ლეილა ქათამაძე
ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაწყებითი კლასების მენტორი მასწავლებელი

ინფორმაცია

ისრაელის ელჩთან სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილეს

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, **მიხეილ ჩხენკელმა**, ისრაელის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიან ახალ ელჩთან საქართველოში, **რან გიდორთან**, გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა, სადაც მხარეებმა საქართველოსა და ისრაელს შორის განათლებისა და კულტურის მიმართულებით სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

შეხვედრაზე მინისტრმა ხაზი გაუსვა საქართველო-ისრაელის მრავალსაუკუნოვან მეგობრობას და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავება ინსტიტუციურ დონეზე.

მიხეილ ჩხენკელმა ისრაელის ელჩს ინფორმაცია მიაწოდა მსოფლიო დონის მეგაპროექტის – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის შესახებ, რომლის დასაარსებლად ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა და მისმა ოჯახმა 1 მილიარდი ევროს ღირებულების ინვესტიცია განახორციელა. მინისტრის თქმით, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, რომელიც ოპერირებას 2020-21 სასწავლო წლიდან დაიწყებს, ამ ეტაპზე, აქტიურად თანამშრომლობს ევროპის, აშშ-სა და იაპონიის უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან.

სწავლების ყველა საფეხურზე ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით, მიხეილ ჩხენკელი ისრაელის წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობასა და ერთობლივი სამეცნიერო კვლევების განახორციელებას მიესალმება.

რან გიდორმა, თავის მხრივ, ამ მიმართულებით საქართველოსთან თანამშრომლობის მზადყოფნა გამოხატა. შეხვედრაზე საუბარი, ასევე, შეეხო ადრონული თერაპიის ცენტრს, რომელიც ქუთაისის საერთშორისო უნივერსიტეტის ბაზაზე დაარსდება და სადაც ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობასთან ერთად თანამედროვე კვლევები სამედიცინო და ბირთვულ ფიზიკაში განხორციელდება. მხარეებმა ისრაელთან თანამშრომლობით ცენტრის განვითარების სამომავლო პერსპექტივებიც განიხილეს. მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ ადრონული თერაპიის ცენტრი გახდება საერთაშორისო ჰაბი, რეგიონის მასშტაბით, ონკოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თვალსაზრისით. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, რეაბილიტაციისა და რესტავრაციის მიმართულებითაც. მინისტრის თქმით, ამგვარი პროექტები მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება.

შეხვედრის ბოლოს ელჩმა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი ისრაელში მიიწვია, სადაც ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის დეტალებს განიხილავენ.

სპორტი

დაუმარცხებელი ლიდერები

კალათბურთში სტუდენტური ლიგის გათამაშებაში წარმატებულ გამოსვლას აგრძელებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი. **ლევან ტყეშელაშვილის** გაწვრთნილმა სტუდენტებმა, ბოლო ტურში, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი 116:65 დაამარცხა. ანგარიშიდანაც ჩანს, რაოდენ შთამბეჭდავია ტექნიკოსთა გამარჯვება. ამ გუნდმა ჯერ დამარცხების სიმწარე არ იცის – ჩატარებული 5 თამაშიდან ყველა მოიგო და 10 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს სატურნირო ცხრილს. თანაც, ქულების შთამბეჭდავი დადებითი ბალანსი აქვს: 140. სატურნირო ცხრილში გრიგოლ თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტი ასე თუ ისე ახლოსაა, ამ მხრივ სტუ-ს კოლოსალური უპირატესობა აქვს. თავად განსაჯეთ – მეორეზე მყოფი გთსუ-ს დადებითი ბალანსი მხოლოდ 35 ქულაა.

სამაგიეროდ, ბოლო ტურში მეორე მარცხი იწვნია თავად გთსუ-მ – ილიაუნის გუნდთან 61:69 დამარცხდა იმის მიუხედავად, რომ ილიას უნივერსიტეტმა დასაწყისშივე ერთბაშად ორი საკვანძო მოთამაშე დაკარგა: **ნიკა ყირიმელი** და **ვასილ მჭედლიშვილი** ერთმანეთს თავებით შეასკდნენ. შეჯახება იმდენად სერიოზული გამოდგა, რომ მათ შეხვედრის გაგრძელება ვერ შეძლეს. ამის მიუხედავად, მათმა გუნდმა მაინც მოახერხა გამარჯვება გათამაშების ერთ-ერთ ფავორიტთან, რაშიც ლომის წვლილი **ტატო ოთიაშვილმა** შეიტანა – ის შეხვედრის ყველაზე უხვქულიანი მოთამაშე გახდა 20 ქულით.

სტუდენტური ლიგის ბოლო ტურში სპორტის ოლიმპიურ სასახლეში კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართა, რომელშიც უპირობო აუტსაიდერები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს – თბილისის სახელმწიფო და სამედიცინო უნივერსიტეტების გუნდები, რომლებსაც აქამდე გამარჯვება არ ჰქონდათ მოპოვებული. ამის მიუხედავად, მათი შეხვედრა ყველაზე დაძაბული გამოდგა, უფრო უკეთ კი მომავალმა მედიკოსებმა ითამაშეს, მეტოქეს მცირე უპირატესობით – 70:66 სძლიეს და პირველი გამარჯვებაც მიითვალეს.

შეგახსენებთ, რომ სტუდენტურ ლიგას ერთობლივად ატარებენ საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია. მასში სულ 7 გუნდი მონაწილეობს და ახლებური სისტემით ტარდება – გამარჯვებული „ა“ ლიგის საგზურს მიიღებს და პროფესიულ კლუბად გარდაიქმნება, რაც გუნდებისთვის დიდი სტიმულია. თუმცა პირველ ეტაპზე ამ შვიდი კლუბის ამოცანა საუკეთესო ოთხეულში, ანუ პლეი ოფში მოხვედრაა – სწორედ ისინი მოიპოვებენ „ა“ ლიგის საგზურისთვის ბრძოლის გაგრძელების უფლებას.

ამასობაში კი, გრძელდება საქართველოს 16-წლამდელ კალათბურთელთა ჩემპიონატი, რომელსაც ასევე დაუმარცხებელი ლიდერი ჰყავს – 6 ტურის შემდეგ გათამაშებას, ქულათა მაქსიმუმით, 12 ქულით თბილისის „დინამო“ ლიდერობს. თან, მასაც ქულათა შთამბეჭდავად დადებითი ბალანსი აქვს – 211 და ისიც კოლოსალური უპირატესობით უსწრებს უახლოეს მდევრებს.

„დინამომ“ ყველა თამაში დიდი ანგარიშით მოიგო და ბოლო ტურშიც ასე დაამარცხა „ქუთაისი“ – 119:62. მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშეები თბილისელი **გიორგი სულაბერიძე** და ქუთაისელი **ვაჩე ჩაკვეტაძე** აღმოჩნდნენ – მათ 25-25 ქულა დააგროვეს. სხვათა შორის, თავიანთ კლუბებში ყველაზე მეტი მოხსნაც მათ ჰქონდათ, თუმცა, ამ მხრივ, ქუთაისელმა აშკარად აჯობა მეტოქეს – ჩაკვეტაძემ 15-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან, სულაბერიძემ – 8-ჯერ.

„დინამოს“ 2-ქულიანი ჩამორჩენით ერთბაშად ოთხი კლუბი უდგას კვალში – „ჰიუნდაი“, „აკადემია“, „ზაზა“ და იგივე „ქუთაისი“.

16-წლამდელთა ლიგაში 12 კლუბი გამოდის, რომელთა უმეტესობაც თბილისის წარმომადგენელია, თუმცა არიან რეგიონებიდანაც. ასე მაგალითად, ქუთაისს ორი კლუბი ჰყავს, აჭარას – ერთი. რაც ყველაზე სასიხარულოა, რომ ერთი კლუბი ხაშურსაც ჰყავს, რაც ახალი წერტილია ქართული კალათბურთის რუკაზე.

ეს 12 კლუბი ერთ ჯგუფშია გაერთიანებული, ჩემპიონატი კი ორ წრედ ტარდება. მისი დასრულების შემდეგ გამოვლინდება 8 საუკეთესო კლუბი, რომლებიც პლეი ოფში გააგრძელებენ ბრძოლას მედლებისთვის.

ბელარუსული არეულობა ჩვენს სასარგებლოდ

ახლოვდება ქართული ფეხბურთისთვის უმნიშვნელოვანესი თარიღი – 26 მარტს ჩვენი ეროვნული ნაკრები ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის პლეი ოფის ნახევარფინალში თბილისში ბელარუსს უმასპინძლებს. ამათში მოგებული მეორე ნახევარფინალური წყვილის გამარჯვებულს შეხვდება და სწორედ იმათში მოგებული ითამაშებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, კონტინენტის უძლიერესი კლუბების მხარდამხარ. საქართველო ბელარუსს თუ მოუგებს, მაშინ პლეი ოფის ის ფინალური დაპირისპირებაც თბილისში გაიმართება, ეს კი ჩვენს შანსებს კიდევ უფრო ზრდის.

ამასთან ერთად, ჩვენს შანსებს ასევე ზრდის ბელარუსულ ფეხბურთში ამ ბოლო დღეებში არსებული დაპირისპირება – ლიდერთა ტრავმები; დაპირისპირება წამყვანი კლუბებისა და ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელთა შორის; კლუბების უარი, გაუშვან თავიანთი ლიდერები ეროვნულ ნაკრებში. ამ ყველაფრის პირველი შედეგი კი ჩაშლის პირას მისული მოსამზადებელი შეკრება და სპარინგ-მატჩებია. ჩვენდა საბედნიეროდ, ბელარუსული ფეხბურთის სამყარო უმნიშვნელოვანესი თამაშის წინ კონსოლიდაციას ვერ ახერხებს, რითაც აუცილებლად უნდა ვისარგებლოთ.

რამდენიმე დღის წინ წამყვანმა ბელარუსულმა კლუბებმა – ბორისოვოს „ბატემ“ და სოლიგორსკის „შახტარმა“ უარი განაცხადეს, ეროვნული ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ეტაპზე ნაკრებში გაეშვათ თავიანთი ფეხბურთელები. მოგვიანებით კი მათ ბრესტის „დინამოც“ შეუერთდა. ბელარუსული მედია ღიად წერს, რომ ამ შემთხვევაში კანონი კლუბების მხარესაა...

ამასობაში ყაზახურმა „ჟეტისუმ“, ბელარუსული კლუბები არ უშვებენ თავის ფეხბურთელებს და ჩვენ რატომ ვინაღვლოთ მათი ნაკრებიო. უარი განაცხადა, გაეთავისუფლებინა მცველი **ნიკიტა ნაუმოვი**.

საქმეში ბელარუსის სპორტის მინისტრი **სერგეი კოვალჩუკი** ჩაერია. იგი პირადად შეხვდა კლუბების ხელმძღვანელებს და სთხოვა მათ, რომ პირველ ადგილზე ეროვნული ნაკრები დაეყენებინათ, როგორც პირამიდის მწვერვალი. მან აღნიშნა, რომ თუ ნაკრები ვერ გავა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, მაშინ გაისად ფეხბურთი ვერ მოხვდება პრიორიტეტული სახეობების ნუსხაში, რაც დაფინანსების შემცირებას ნიშნავს. კოვალჩუკმა დელიკატურად მიანიშნა საფეხბურთო აუდიტორიას, რომ ამ შემთხვევაში ვერც ისინი მიიღებენ სახელმწიფოსგან დაფინანსებას. არადა, ბელარუსში ქვეყანა გვარიანად ეხმარება კლუბებს ფინანსური დოტაციით.

ამის მიუხედავად, შეხვედრის შემდეგ, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **მიხაილ მარხელი** მაინც უიმედოდ იყო და ამბობდა, რომ შეკრებისა და სპარინგების გამართვა საფრთხის ქვეშაა.

თუმცა მარხელის პრობლემა მხოლოდ კლუბების პოზიცია არაა – მის გუნდს ბოლო დღეებში ტრავმებიც მეხივით დაატყდა თავს. პრაქტიკულად, რამდენიმე საათის წინ გახდა ცნობილი, რომ ბარძაყის კუნთი გაიწყიტა და ფეხბურთს, მინიმუმ, ორი თვით ჩამოშორდა ნაკრების ერთ-ერთი საკვანძო მცველი, კრასნოდარის „ყუბანის“ კაპიტანი **ალექსანდრ მარტინოვიჩი**. ასევე დაშავდა ზემოხსენებული „შახტარის“ მეკარე **ალექსანდრ გუტორი**, ტრავმირებულია ნახევარმცველი **ჩიჩკანიც**.

ნაუმოვის ამბის გახმაურების შემდეგ თურმე მარხელს საკონტროლო შეხვედრებში „შახტარის“ მცველ **სერგეი პოლიტევიჩის** გამოძახება მოუწადინებია, რათა საკონტროლო შეხვედრებში რომელიმე მცველთან ტანდემში გამოეცადა, მაგრამ ახლა ეს ექსპერიმენტი კი არა, თავად საკონტროლო შეხვედრების გამართვაც საეჭვოა.

დარჩენილ პერიოდში ბელარუსს ორი ამხანაგური შეხვედრა ჰქონდა დაგეგმილი – უზბეკეთთან და ბულგარეთთან, თუმცა ბელარუსული მედიაც ღიად წერს და მარხელიც ამბობს, რომ კაცმა არ იცის, გაიმართება თუ არა ეს მატჩები.

ერთი სიტყვით, საქმეს ისეთი პირი უჩანს, პრობლემა მხოლოდ ბელარუსის პრეზიდენტ **ალექსანდრ ლუკაშენკოს** პირდაპირი ჩარევით თუ მოგვარდება, თორემ მარხელს სხვა საშველი არ უჩანს. თუმცა ლუკაშენკოს მხრიდან ეს ფეხბურთის ფედერაციის საქმეებში პირდაპირი ჩარევა იქნება, რაზეც თვალს უკვე ფიფა-უეფა არ დახუჭავენ და ბელარუსს უმკაცრესი სანქციები დაემუქრება, ამ ორგანიზაციებიდან გარიცხვის ჩათვლითაც კი.

არადა, ჩვენი არ იყოს, ამ პლეი ოფს ბელარუსებიც უდიდესი მოლოდინით ელოდნენ. ჯერ კიდევ შარშან, ივნისში, როცა დიდი ალბათობით უკვე გარკვეული იყო, რომ პლეი ოფში ბელარუსი საქართველოს ხვდებოდა, მინსკში, მეორე ევროპულ თამაშებზე ყოფნისას, საფეხბურთო წრეებში ჩახედულმა იქაურებმა გვითხრეს , რომ ლუკაშენკოს დაუბარებია ნაკრებისა და ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა და მათგან პირდაპირ მოუთხოვია ფინალურ ეტაპზე გასვლა, სანაცვლოდ კი მაქსიმალურ ხელშეწყობას და დიდ პრემიებსაც დაჰპირებია. წინააღმდეგ შემთხვევაში მკაცრი სანქციებით დამუქრებია.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

გამოფენა

საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები

ასე ჰქვია გამოფენას, რომელიც საქართველოს ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში გაიხსნა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია ეროვნულ არქივში ამ თემაზე დაცული მრავალფეროვანი მასალა – ფოტო, წერილობითი და კინოდოკუმენტები.

საგამოფენო ექსპონატები ასახავს შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების პროცესს. გამოფენაზე მისული დამთვალიერებელი იხილავს საბრძოლო მოქმედებებისა და წვრთნების, ასევე სამხედრო ტექნიკისა და სამხედრო პირების ფოტოებს; სამხედრო თემატიკაზე გამოცემულ გაზეთებს, ქვეითების შეიარაღების ნიმუშებს, შაშხანებს, რევოლვერებსა და ტაბახმელაში იუნკრების პოზიციებზე ნაპოვნ ვაზნებს.

გამოფენის გახსნაზე ნაჩვენები იყო ეროვნულ არქივში დაცული კინოდოკუმენტები, რომლებმაც საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამხედრო პირებისა და შეიარაღების ცოცხალი კადრები შემოგვინახა.

ექსპოზიციის მიზანია საქართველოს უახლესი ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესი პერიოდის სამხედრო ისტორიის მიმართ საზოგადოების ინტერესის გაზრდა. გამოფენის კურატორია დიმიტრი სილაქაძე.

ექსპოზიცია 7 მარტის ჩათვლით გაგრძელდება.

გამომცემლობა „ახალი განათლება" გთავაზობთ

5 ლარი
12 ლარი
10 ლარი
9 ლარი

წიგნის თარო

წიგნი I
V-XVIII სს მწერლობა
წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

ტესტები ქართულ ლიტერატურაში
ეროვნული გამოცდისათვის



4 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში – 6.50 ლარი
ქართული (I-VI კლ.) მასწავლებელთა გამოცდებისთვის – 11 ლარი
ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის – 14 ლარი
ტექსტის გააზრება ანალიტიკური წერა – 15 ლარი
პროფესიული უნარები 300 მნიშვნელოვანი კითხვა-პასუხებით – 8 ლარი
ინტერაქტიური მეთოდების კრებული – 7 ლარი
კათედრის გამგის პორტფოლიო – 6 ლარი
I-IV კლასების კომბინირებული გამოცდისთვის – 15 ლარი
პროფესიული უნარები თეორიული მასალა – 15 ლარი
პროფესიული უნარები ტესტები – 15 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება", ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი",
ბ/კ LBRTGE22
შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №7-8
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება"
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი" ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 2 ლარი